



სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება  
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

*Scientific magazine*

**“AUTHORITY AND SOCIETY**

(History, Theory, Practice)“

**Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО**

(История, Теория, Практика)“

№ 3 (19) 2011

ღია დიპლომატიის ასოციაციის  
სამეცნიერო ჟურნალი

**Scientific magazine of  
The Open Diplomacy Association**


Научный журнал  
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

**EISSN 1512-4029**

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

UDC 378(479.22)(051.2)

ხ. 402



## სარედაქციო კოლეგია:

შოთა დოღონაძე

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქოჩორაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ოთარ ბაღათურია

პასუხისმგებელი მდივანი

ნანა ავალიანი, რუდიგერ ანდრესენი, მეუფე აბრაამი (გარმელია), ევგენი ბარათაშვილი, გიორგი ბაღათურია, ოთარ ბაღათურია, რასა ბელოკაიტე, ანასტასია განიჩი, იური გორიციკი, ვახტანგ გურული, შოთა დოღონაძე, ელუნ დრაკე, ჰარალდ ვერტცი, გენადი იაშვილი, სერჯო კამიზი, რინარდ მასი, როინ მეტრეველი, იოშიკა მიცუი, ბადრი ნაკაშიძე, ლიზავეტა ჟახანიანი, ბუდი ნურანი რუნჯანა, რამონ პეტრო-სუარესი, გერტ სურმიულენი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქოჩორაძე, რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ენდრიუ ლენუქს ჰარდინგსი



ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,  
I სართული, ტელ. 236-45-14,  
77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.

Tel. [+995 32] 2364514

e-mail: [office@odageorgia.ge](mailto:office@odageorgia.ge)

გარეკანის გაფორმება: ღავით ბაღათურია

ჟურნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია ვებგვერდებზე:

<http://www.odageorgia.ge/page=gamocemebi>

<http://www.gtu.edu.ge/katedrebi/kat124/>

ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### თეორია

**ირაკლი რეხვიაშვილი, ოთარ ქიქოძე**  
ზოგი რამ დემოკრატიაზე -----5

**შოთა დოღონაძე**  
სახელმწიფო მართვის ორგანოები და მათი საქმიანობის  
შედეგების განსაზღვრა-----33

### ისტორია

**ნიკიტა კულიკოვი**  
შავი ზღვის პირეთის მართვის სისტემა XIX საუკუნის  
დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში (ქლაქ სოჭის  
მაგალითზე) (რუსულად)-----43

### ეკონომიკა

**თენგიზ გრიგოლია**  
გლობალიზაციის გავლენა მსოფლიო პოლიტიკასა  
და ეკონომიკაზე-----54

### სამართალი

**სოფიო დოღონაძე**  
ეთნოკონფლიქტები თუ სეპარატიზმი: საქართველოს  
დანაწევრების მცდელობა-----61

**გიორგი ყუფარაძე**  
ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებების  
ინტერპრეტირების სამართლებრივი საფუძვლები-----73

**გიორგი სატიძე**  
გაეროს სამშვიდობო ოპერაციების სამართლებრივი  
საწყისები და სახელმძღვანელო პრინციპები (ინგლისურად)----85

**საზოგადოება**

**თამარ რევაზიშვილი**

გარემო და ჯანმრთელობა-----97

**ქეთი ჯიჯეიშვილი, გიორგი ჩხიკვიშვილი**

ლობისტური ფიარტექნოლოგიების როლი  
მსოფლიო პოლიტიკაში-----104

**ბადრი ცხადაძე, ეკა ცხადაძე**

იბერ, იბერია ტერმინთა წარმომავლობისათვის-----107

# თ ე ო რ ი ა

ირაკლი რეზნიაშვილი, ოთარ ქოჩორაძე

ზოგი რამ დემოკრატიანა

*“გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის”.  
რუსთაველი*

სიბრძნე – აუცილებელია

წარმოდგენილ პუბლიკაციაში განხილულია ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პრობლემები პოლიტიკური მეცნიერების კუთხით. ჩვენ არ ვეხებით კონკრეტულ სახელმწიფოებს ან პიროვნებებს, მაგრამ ამავედროულად მხედველობაში გვაქვს დემოკრატიის ჩამოყალიბების პროცესი.

ტოტალიტარულ პირობებში პოლიტიკური მეცნიერება არ ისწავლებოდა არც სკოლებში და არც უმაღლეს სასწავლებლებში. რამოდენიმე თაობას არა აქვს სრული წარმოდგენა ადამიანის ცხოველმქმედების პირობებზე; პოლიტიკაზე, ხელისუფლებასა და დემოკრატიაზე; პოლიტიკურ ცხოვრებაში და საკუთარი ხელისუფლების არჩევნებში მონაწილეობაზე.

იმედი გვაქვს, რომ ეს პუბლიკაცია ნაწილობრივ მაინც დაგვეხმარება გავაცნობიეროთ მთავარი: ჩვენს ცხოვრებასთან დაკავშირებული ამ ცნობილი ცნებების არსი. ჰეგელმა (1770-1831) წამოაყენა შესანიშნავი თეზისი:

**“ზოგადად ცნობილი – იმის გამო, რომ ის ცნობილია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ის გაცნობიერებულია”.**

ჰეგელი [1]

ამ პრობლემებზე მსჯელობისას ჩვენ მივმართეთ სიბრძნეს – მსოფლიოს გამოჩენილ მოაზროვნეთა შეხედულებების საუჯეს.

სიბრძნე არის მუდმივი კატეგორია, სამართლიანი, ზნეობრივი და ჭეშმარიტებასთან ახლოს მყოფი. ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეებში სიბრძნე აუცილებელია ყოველთვის.

“გერაგინ, სიბრძნეს მოკლებული, გერ შესძლებს კარგად იზრუნოს ვერც თავის თავზე, ვერც სხვას დაეხმაროს ქმედითად. ამიტომ მეფენი ვაღივებულნი არიან ურთიერთობა ჰქონდეთ საპატიო და ბრძენ ადამიანებთან და მიმართონ მათ რჩევისათვის მიმდინარე საკითხებში...”

იყო დრო, როდესაც სამეფო თანამდებობის აღმსრულებელი პირები იყვნენ ან ფილოსოფოსები, ან წინასწარმეტყველები; უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დროს სახელმწიფოები იმართებოდნენ ყველაზე კარგად. ახლა ბევრ მბრძანებელს მიაჩნია, რომ ეს მას არ ესება. ამიტომ კანონებში არსებობს მრავალი გაუკუღმართება, ხოლო სახელმწიფოს ყველა ნაწილში შეიმჩნევა თანამდებობის ბოროტად გამოყენება...”

ანჯეი მოჯვესკი [2]

საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში სიბრძნე ხელს უწყობს ნდობისა და ურთიერთგაგების გაღრმავებას, დაძაბულობის შენელებას.

გამაღებული შეიარაღება, იარაღის უღარუნი, მუქარა და ძალის პოზიციიდან ქმედებები საცხებით მიუღებელია თანამეროვე ეპოქაში. არ შეიძლება იარაღის გადაქცევა საერთაშორისო ურთიერთობების ინსტრუმენტად.

**“კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკევეს ვითა მთვრალი!  
არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი!  
დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწავას ნაბერწკალი...”**

რუსთაველი [3]

სიბრძნის დეფიციტმა ბირთვული იარაღის არსენალების პირობებში დედამიწაზე, წყალზე, წყალქვეშ და კოსმოსში, შეიძლება მიგვიყვანოს პლანეტის დაღუპვამდე. დედამიწაზე ბევრი პრობლემა არსებობს და მილიონობით ადამიანი ელის მათ გადაწყვეტას.

სამწუხაროდ, პლანეტის მოსახელობის უზარმაზარ ნაწილს არ გააჩნია სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობები. მილიონობით ადამიანი ცხოვრობს სიღარიბეში და მის ზღვარს მიღმა. მუმივი სამუშაოსა და სამედიცინო მომსახურების უქონლობა, უმძიმესი ყოფითი პირობები, განათლების ხელმიუწვდომლობა – ყოველივე ეს მძიმე უღლად აქცევს მათ ცხოვრებას. ომები, კონფლიქტები,

ტერორიზმი, დამნაშავეობა ზრდის ადამიანების ტანჯვასა და უბედურებას.

განსაკუთრებით უნდა ითქვას ლტოლვილების ტრაგედიაზე. მშვიდობიანი მოსახლეობის განდევნა საკუთარი საცხოვრებელი სახლებიდან წარმოადგენს დანაშაულს. იტანჯებიან ბავშვები. ერთნი ლტოლვილებად აქციეს, სხვები ლტოლვილებად იბადებიან. რა ვუთხრათ, რით დავამშვიდოთ ლტოლვილები და მათი ბავშვები... ლტოლვილების დაბრუნება თავიანთ საცხოვრებელ სახლებში უნდა მოხდეს აუცილებლად და გადაუდებლად. ამ საკითხის მოგვარებაში საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

ჩნდება კითხვა, ვინ უნდა იფიქროს ხალხზე და უზრუნველყოს მისი სიცოცხლის უფლება? ბუნებრივივთა, რომ ეს არის იმათი ვალდებულება, ვინც მართავს ხალხს: მმართველებისა და მათი ხელისუფლების. სწორედ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ყოველი ადამიანისა და მთლიანად ხალხის სიცოცხლეზე.

მაშ რაშია საქმე? არ უნდათ იზრუნონ ადამიანებზე და დაეხმარონ მათ სიღარიბისა და ტანჯვისაგან თავის დაღწევაში? ან იქნებ არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებსა და ფუნქციებს და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ ?

**“მეფეები და მმართველები არიან არა ისინი, რომლებიც ატარებენ სკიპტრას, არა ისინი, რომლებიც არჩეულნი არიან ცნობილი დიდებულების მიერ, და არც ისინი, რომლებმაც ხელისუფლებას მიაღწიეს კენჭის ყრის ან ძალადობის საშუალებით, მოტყუებით, არამედ ისინი, რომლებმაც იციან მართვა”.**

**სოკრატე [4]**

მათთვის, ვინც არ იცის მართვა, მთავარია ხელისუფლებაში ყოფნა, მართვის ხელოვნება მათთვის უცხოა. მმართველებად ზოგჯერ ხდებიან ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ ცოდნა და ზნეობრივი პრინციპები, სამაგიეროდ აქვთ უზარმაზარი ამბიციები.

მათი მმართველობისაგან არ არის მოსალოდნელი არანაირი სიკეთე. ხელისუფლებას “წამოდებულები” ინარჩუნებენ მას ათწლეულების განმავლობაში მთელი ძალით და ნებისმიერი საშუალებით.

მსგავსი ადამიანების გამოჩენა ხელისუფლებაში არ არის შემთხვევითი, ალბათ არსებობს ამის ხელშემწყობი პირობები და შესაძლებლობები, ხოლო ადამიანები გულგრილად აბარებენ მათ

თავიანთ ბედს. ამ საკითხში უკეთ გარკვევისათვის მივმართოთ პოლიტიკას.

### პოლიტიკისა და ხელისუფლების შესახებ

**”...პოლიტიკა – ყველაზე მთავარი ყველა მეცნიერებასა და ხელფონებას შორის...”**  
**არისტოტელე**

პოლიტიკა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველმხომცველი ფენომენი, განუყოფლად არის დაკავშირებული ხელისუფლებასთან. ხელისუფლებისაკენ მიმავალი გზა პოლიტიკაზე გადის.

“...პოლიტიკა”, როგორც ჩანს ნიშნავს ხელისუფლებაში მონაწილეობისაკენ სწრაფვას ან ხელისუფლების განაწილებაზე ზემოქმედების გაწევას... ის ვინც დაკავებულია პოლიტიკით, ისწრაფვის ხელისუფლებისაკენ: ან ხელისუფლებისაკენ, როგორც საშუალებისადმი... ან ხელისუფლებისაკენ “თავად ხელისუფლებისათვის”, რათა დატკბეს პრესტიჟის გრძნობით, რომელსაც იგი იძლევა”.

მაქს ვებერი [5]

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ცნება “პოლიტიკა”-ს განსხვავებული განმარტებები და მიდგომები. ყოველი მათგანი გვეხმარება გავაცნობიეროთ ამ ფენომენის არსი, მრავალფეროვნება და მნიშვნელობა.

ბერძნული სიტყვა “*პოლისი*” – ქალაქი, სახელმწიფო – ტრანსფორმირებული იქნა ცნებად “*პოლიტიკა*”, რაც ნიშნავს სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვის მეცნიერებასა და ხლოვნებას. პოლიტიკის მსგავსი განსაზღვრება მართებულად გვესახება, თუმცა არასაკმარისია ამ ფენომენის სრული დახასიათებისათვის.

სამართლებრივი კონცეფციის თანახმად, პოლიტიკისა და სახელმწიფოს პირველსაწყისს წარმოადგენს ადამიანის ბუნებრივი უფლება სიცოცხლეზე, საკუთრებაზე და თვითრეალიზების პირობებზე.

პოლიტიკური მეცნიერების მიდგომის თანახმად, პოლიტიკა განიხილება, როგორც სწრაფვა და მოღვაწეობა ხელისუფლების მისაღწევად.



ანთროპოლოგიური განმარტება დაკავშირებული არის არისტოტელეს მოძღვრებასან. ამ მოძღვრების თანახმად ადამიანი არის საზოგადოებრივი, კოლექტიური, და უფრო მეტად, პოლიტიკური არსება. ამგვარად, ადამიანი და პოლიტიკა ურთიერთდაკავშირებულია.

პოლიტიკა წარმოადგენს ადამიანების ურთიერთობის ფორმას, ერთობლივი თანარსებობის აუცილებელ პირობასა და საშუალებას. ადამიანის ცხოვრებისათვის ყოველივე აუცილებელის მიღება და რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში.

არისტოტელე (ძვ.წ. 384 – ძვ.წ. 322) წერდა, რომ პოლიტიკის უპირატესი მიზანი არის უმაღლესი სიკეთე, სამართლიანობა, ანუ ის, რაც ემსახურება საერთო სარგებლიანობას. პოლიტიკა არის ყველაზე მთავარი ყველა მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის. [6]

პოლიტიკა ერთდროულად მეცნიერებაც არის და ხელოვნებაც. ხელოვნება, რომელიც ვლინდება ხელისუფლებაში, სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვაში.

როგორც უკვე ავლინშნეთ, პოლიტიკა არის ყოველისმომცველი მოვლენა. იგი მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს: სოციალურს, ეკონომიკურს, კულტურულ-შემეცნებითს, ეროვნულს და სხვა. ამგვარად, *ადამიანთა მთელი ცოველმოქმედება, ცხოვრების დონე და ხარისხი დამოკიდებულია ხელისუფლების მიერ განხორციელებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე*. ამაში მდგომარეობს *პოლიტიკის სახიცოცხლო მნიშვნელობა უკლებლივ ყველასთვის*. მათ შორის იმათთვის, ვისაც მიაჩნია, რომ პოლიტიკის მიღმა დგას. ჩვენ – ეცხოვრობთ, მაშასადამე, ჩვენ ვართ პოლიტიკაში.

ყოველივე ამან განაპირობა პოლიტიკურ ცხოვრებაში გაცნობიერებული მონაწილეობის აუცილებლობა. ამისათვის არ არის აუცილებელი პოლიტიკის პროფესიად გადაქცევა, თუმცა არც ეს არის მიუღებელი.

**“პოლიტიკა უმაღლესი გაგებით არის ცხოვრება, ხოლო ცხოვრება არის პოლიტიკა”.**

**ოსვალდ შპენგლერი [7]**

პოლიტიკის სხვადასხვა განსაზღვრება ავსებს ერთმანეთს და ხელს უწყობს მისი არსისა და მნიშვნელობის უფრო სიღრმისეულ გაგებას. მით უმეტეს, რომ ეს მრავალწახნაგოვანი მოვლენა არ თავსდება მკაცრად შემოფარგლულ ჩარჩოებში. *პოლიტიკა – ეს*

არის ადამიანების, სხვადასხვა ერთობებისა და სოციალური ჯგუფების ურთიერთობა და ურთიერთქმედება, დაკავშირებული პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოსა და ხელისუფლების საქმეებთან.

კაცობრიობა არ იცნობს პოლიტიკაზე უფრო მძლავრ ფენომენს.

**”პოლიტიკა არსებობს ადამიანის გაჩენის შემდეგ და ყოველგვარი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, არის შედეგი პოლიტიკისა. პოლიტიკა იმდენად მძლავრი მოვლენაა, რომ სატანასაც კი მან შტააგონა ღმერთის წინააღმდეგ აჯანყება.”**

**ალექსანდრე ამილახვარი [8]**

პოლიტიკურ მეცნიერებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ხელისუფლების კონცეფციას. მრავალი საუკუნის მანძილზე მეცნიერები იკვლევდნენ და აგრძელებენ ხელისუფლების ფენომენის, ძალაუფლებრივი ურთიერთობების და პოლიტიკური სისტემების შესწავლას. ზოგიერთი მკვლევარი გამოყოფს ხელისუფლებას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას. ეს არის – კრატოლოგია, მეცნიერება ხელისუფლების შესახებ.

პოლიტიკურ ხელისუფლებას გააჩნია უფლება და შესაძლებლობა აბსოლუტურად უხელმძღვანელოს და მართოს ვინმე ან რამე, ზეგავლენა მოახდინოს ადამიანების ბედსა და მოღვაწეობაზე, განახორციელოს იძულება. არსებობს სხვა საშუალებები და მეთოდებიც.

ხელისუფლების სტრუქტურაში ფუნქციონირებენ პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა ინსტიტუტები: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და სხვა; არის შესაბამისი წყაროები და რეზერვები. და ბოლოს, სახელმწიფო – მართვისა და ხელისუფლებრივი ურთიერთობების ყველაზე მძლავრი სისტემა. ხელისუფლება და სახელმწიფო, კონფუციუსის (ძვ.წ. 551 – ძვ.წ. 479) აზრით, ორი მწვერვალი არის, რომლებიც არსებობენ იმისათვის, რომ მოაწესრიგონ ადამიანების ცხოვრება.

ხელისუფლება ფლობს ყველაფერს, რაც აუცილებელია, რათა შეუქმნას ადამიანებს ცხოვრების ნორმალური პირობები და უნზრუნველყოს სიცოცხლის უფლება. უფალმა უბოძა ადამიანებს თავისუფლება და ბუნებრივი უფლება, თანასწორობა. ამის საფუძველზე წარმოიშვა ხელისუფლება.

მეცნიერების აზრით ეს მოხდა შორეულ წარსულში, ბუნებრივი სამართლის პერიოდში. ხელისუფლების მთავარი ვალდებულება

იყო ხალხის სამსახური. ხელისუფლების წყაროს წარმოადგენს ხალხი.

ეს აუცილებლად უნდა ახსოვდეთ მმართველებს, ხელისუფლებას და ხალხს.

ამასთან დაკავშირებით მივმართოთ საქრთაშორისო გამოცდილებას:

“ჩვენთვის თავისთავად ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანები შექმნილი არიან როგორც თანასწორი არსებანი, რომ მათ ღმერთმა მიანიჭა გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ლტოლვა;

რომ ამ უფლებათა განსამტკიცებლად იქმნებიან მთავრობები, რომლებიც თავიანთ კანონიერ ძალაუფლებას ღებულობენ იმათი თანხმობით, ვისაც ისინი განაგებენ;

რომ, თუ განმგებლობის რაიმე ფორმა ოდესმე ამ მიზნის შემლახავი გახდება, ხალხს ენიჭება უფლება შეცვალოს ან გააუქმოს იგი და შექმნას ახალი მთავრობა. დააფუძნოს იგი ისეთ პრინციპებზე და ისეთი ძალაუფლებით აღჭურვოს, როგორც, მისი აზრით, ყველაზე ხელსაყრელი იქმნება მისი უსაფრთხოებისა და ბედნიერებისთვის.

ჭეშმარიტად, კეთილგონიერება მოითხოვს, არ შეიცვალოს დიდი ხნის ჩამოყალიბებული მთავრობა უმნიშვნელო და წარმავალი მიზეზების გულისათვის, და, ამის შესაბამისად, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სანამ ბოროტება გასაძლია, ადამიანები უფრო ადვილად ეგუებიან სიღუხჭირეს, ვიდრე მიჩვეულის მოსპობით ტვირთის შემსუბუქებას.

მაგრამ როდესაც გაუთავებელი უსამართლობა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, მისი გამუდმებით ერთი მიზნისკენ წარმართვა ხალხს აბსოლუტური დესპოტიზმით ემუქრება, მისი უფლება და ვალია ბოლო მოუღოს ამგვარ მთავრობას და ადავლინოს მოღვაწეთა ახალი დასი თავისი მომავალი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად”.

აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაცია [9]

დოკუმენტში დეკლარირებულია ხალხის უფლება შეცვალოს ან გააუქმოს მმართველობის ფორმა, რომელიც არ უზრუნველყოფს უფლის მიერ ბოძებულ ხელშეუვალ უფლებებს: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ლტოლვა.

ხელისუფლება, რომელიც უზრუნველყოფს და გარანტირებს ამ ხელშეუვალ უფლებებს, არის ლეგიტიმური, კანონიერი.

სოცალურმა აქტივობამ, პოლიტიკურ ცხოვრებაში გაცნობიერებულმა მონაწილეობამ შეუძლია აიძულოს ხელისუფლება ანგარიში გაუწიოს ხალხს და იგრძნოს პასუხისმგებლობა მის წინაშე.

ამ აზრით ხელისუფლების მთავარი ვალდებულება არის ხალხის სამსახური და არა პირიქით.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ხელისუფლებაზე დემოკრატიის პირობებში, მხედველობაში გვაქვს მისი სამივე შტო: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მათი მრავალფეროვანი მოღვაწეობის ზოგიერთ არსებით ასპექტზე:

- ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს კანონის უზენაესობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დემოკრატიის ჩამოყალიბებისათვის. პრაქტიკის პროცესში არც თუ ისე იშვიათი ადგილი აქვს კანონის დარღვევას, ან მის არშესრულებას;

**”მე ვხედავ იმ სახელმწიფოს მოახლოებულ აღსასრულს, სადაც კანონს ძალა არ გააჩნია და იმყოფება ვიღაცის ზეგავლენის ქვეშ”.**

**პლატონი [10]**

- ვეთანხმებით მათ, ვისაც მიაჩნიათ, რომ მცირე სახელმწიფოებში არ უნდა იყოს დიდი პარლამენტები;

- სასურველია, რომ ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები;

- აუცილებელია ხელისუფლების პერიოდული ანგარიში ხალხის წინაშე საშინაო და საგარეო პოლიტიკის პროგრამების შესრულების შესახებ;

- ვაკანტური თანამდებობების დაკავება სახელისუფლებო სტრუქტურებში უნდა მოხდეს ღირსეულის პრინციპის მიხედვით: ცოდნა, უნარი, პროფესიონალიზმი, მორალი; და არა ნაცნობობის, ნათესაური, კლანური, ძმაცაცური ან სხვა რაიმე კავშირების მიხედვით. აქ უპირიანი იქნება ავღნიშნოთ: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კადრებს და საკადრო პოლიტიკას.

საერთაშორისო გამოცდილება დამაჯერებლად მეტყველებს ადამიანური ფაქტორის მნიშვნელობაზე აღმშენებლობით საქმიანობაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

კადრები უნდა მოვიძიოთ, ვასწავლოთ და მოვამზადოთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობისათვის.

**”რამდენი შესანიშნავი ადამიანი, დაჯილდოებული იშვიათი ტალანტით, დარჩა ყურადღების გარეშე! რამდენი მათგანი ცხოვრობს ჩვენს შორის, ხოლო სამყარო დუმს მათ შესახებ და არასოდეს არ აღაპარაკდება!**

როგორ უსასრულოდ ძნელია ადამიანისათვის, რომელიც არ განეკუთვნება არანაირ კორპორაციას, არ ეძებს მფარველებსა და მიმდევრებს, დგას განცალკევებულად და არ შეუძლია წარმოადგინოს სხვა რეკომენდაციები, გარდა საკუთარი არჩევულებრივი ღირსებებისა, როგორ უჭირს მას ზედაპირზე ამოსვლა და იმ ბრიყვის თანაბარი ადგილის დაკავება, რომელიც ბედის ნებიერია”.

**ჟან დე ლა ბრიუერი [11]**

პოლიტიკა, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ერთდროულად მეცნიერებაცაა და ხელოვნებაც, რომელიც ვლინდება ხელისუფლებაში, სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვაში. ხელისუფლებაში, ან მისი მიღწევის გზაზე პროფესიონალური მოღვაწეობისათვის აუცილებელია სათანადო მომზადება მართვის სისტემების სპეციალიზირებულ სასწავლო დაწესებულებებში.

ნებისმიერი ქმედითუნარიანი უწყების ფორმირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს კადრებისადმი ფრთხილი და გონიერი დამოკიდებულება.

- წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება უნდა გახდეს ღირსების საკითხი, იმ დამკვიდრებული აზრის საპირისპიროდ, რომ მთავარია – კარგად დაპირდე არჩევნების წინ.

- საზოგადოება უნდა ფლობდეს შესაბამის ინფორმაციას ხელისუფლების უმაღლეს ემქლონებში დანიშვნებისა და გადადგომების შესახებ; მსგავსი ინფორმაციის არქონა წარმოშობს ჭორებს და ბადებს ეჭვს.

- საზოგადოებაში ადგილი აქვს სასამართლო დაწესებულებებისადმი უნდობლობას, შემორჩენილი როგორც ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის ნეგატიური მემკვიდრეობა. ეს უნდობლობა დაძლეული უნდა იქნეს.

- სასამართლო სისტემა უნდა იყოს დამოუკიდებელი და სამართლიანი. ეს არის დემოკრატიული პროცესის განვითარებისა და კორუფციის აღმოფხვრის აუცილებელი პირობა.

**”კანონმდებლობის ჩინებული სტრუქტურა, აღმასრულებელი ორგანოს სწორი კონტროლი, სამართლის ბრძნული მოწყობა არის ის ყოველივე, რაც ადამიანურ ბედნიერებას სჭირდება”.**

**ტომას კარლაილი [12]**

გადასვლა ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაზე, საკუთარი ხელისუფლების არჩევნებზე, არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი კაცობრიობის განვითარებაში.

ხელისუფლებამ და ხალხმა უნდა განამტკიცონ და განავითარონ დემოკრატიული პროცესი. პოლიტიკურ ცხოვრებაში ყოველთვის რჩება ადგილი დისკუსიის, კრიტიკისა და სურვილებისათვის. მაგალითად, ხელისუფლებას უსაყვედურებენ: სუსტს – უძღურებას, ძლიერს – უსამართლობას.

**„მართებულია დაემორჩილო სამართლიანობას, შეუძლებელია არ დაემორჩილო ძალას.**

**სამართლიანობა, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ძალა, უძღურია;**

**ძალა რომლის ზურგს უკან არ დგას სამართლიანობა, ტირანულია.**

**უძღურ სამართლიანობას ყოველთვის ფეხქვეშ გაიგებენ იმიტომ, რომ ამქვეყნად არ დაიღვეიან უკეთურნი;**

**უსამართლო ძალა ყოველთვის აღაშფოთებს კეთილთ.**

**მაშასადამე, საჭიროა ძალისა და სამართლიანობის შერწყმა.**

**ამიტომ ან სამართლიანობა უნდა გახდეს ძლიერი, ან ძალა – სამართლიანი“.**

**ბლეზ პასკალი [13]**

სურვილების თანახმად ხელისუფლება უნდა იყოს *სამართლიანი* და *ძლიერი*.

უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ ხელისუფლების საქმიანობა საჯაროდ უნდა შეფასდეს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განიხილებოდეს შედავათებისა და გარანტიების საკითხი.

ცოტა რამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ. მათ, არც თუ ისე იშვიათად, უწოდებენ მეოთხე ხელისუფლებას.

სიმართლისა და სამართლიანობის დიადი იდეალებისადმი სამსახურს არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის.

**“ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად”.**  
რუსთაველი [14]

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა და განმტკიცებისათვის.

ხელისუფლების არჩევის შემდეგ საზოგადოება უფლებამოსილი და ვალდებულია გააკონტროლოს მისი საქმიანობა, მათ შორის წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება. თავიანთი რჩეულების იმედით ადამიანები ცხოვრობენ დადებითი ცვლილებების მოლოდინში. მაგრამ სამწუხაროდ, ზოგჯერ ხდება მოულოდნელიც. მაქს ვებერს (1864-1920) მოჰყავს შემდეგი სიტუაცია:

**“დემოკრატია, ეს არის, როდესაც ხალხი ირჩევს ლიდერს, რომელსაც ენდობა. ამის შემდეგ ხალხის არჩეული ლიდერი ამბობს: “ესლა კი გაჩუმდით და მე დამემორჩილეთ”. არც ხალხი, არც პარტია არ უნდა ჩაერიოს იმაში, რასაც იგი აკეთებს”.**

მაქს ვებერი [15]

ამ ლიდერმა ვერ გაიგო, ვერ დააფასა ხალხის ნდობა. მან დაამცირა მისი ღირსება.

**“...ერი გაპატიებს ინტერესთა შელახვას, მაგრამ არასოდეს – ღირსების შებღალავს”.**

მაქს ვებერი [16]

რით შეიძლება ავხსნათ ასეთი ლიდერის ქცევა? მოვიყვანოთ პ. კროპოტკინის (1842-1921) შეხედულება:

**“ჩვენ... არ წარმოვიდგენთ ადამიანს უკეთესად, ვიდრე ისინი არიან სინამდვილეში. ჩვენ სწორედ ისეთებად ვხედავთ მათ, როგორებიც არიან ისინი, და ამიტომაც ვამტკიცებთ, რომ ხელისუფლება აფუჭებს თვით ყველაზე კარგ ადამიანებსაც კი... ესაუბრობთ მმართველებზე, თუ მართვადებზე; ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ თვითონ ვართ არასრულყოფილები, და რომ ჩვენს შორის საუკეთესონიც კი სწრაფად გაფუჭდებოდნენ, თუკი მოხვდებოდნენ ხელისუფლებაში”.**

პეტრე კროპოტკინი [17]

რატომ ფუჭდებიან ადამიანები ხელისუფლებაში? რატომ ემორჩილებიან მის ცდუნებებს? ელენე ბლავატსკაია (1831-1891) წერს, რომ პლატონი ბოროტების სათავეს ხელავდა:

**“...მმართველებისა და მართვადების ბუნების ერთგვაროვნებასა და ერთარსობრიობაში...”**

**ელენე ბლავატსკაია [18]**

იმანუილ კანტის (1724-1804) აზრით, ის, რომ ადამიანს გააჩნია სატანისეული ცოდვების გამოვლენისადმი გაუშუალებული მიდრეკილება, წარმოადგენს ადამიანურსა და ბუნებრივს. [19]

ხელისუფლებას გააჩნია უზარმაზარი შესაძლებლობანი ანგარებიანი ინტერესების და პირადი კეთილდევობის, განუსაზღვრელი ზეგავლენისა და პრივილეგიების დასაკმაყოფილებლად.

**“ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს, როგროც წესი გააჩნიათ... მიდრეკილება გამოიყენონ ეს ხელისუფლება, რათ შეინარჩუნონ პოზიციები და ბოროტად გამოიყენონ იგი საკუთარი სარგებელისა და უპირატესობის უზრუნველსაყოფად, რომლსაც ისინი... თითქმის ყოველთვის ურევენ ქვეყნის სარგებელსა და უპირატესობაში”**

**ვილფრედო პარეტო [20]**

ცდუნება ყველასთვის ძალიან დიდია, ხელისუფლებით გამოცდა, არის ადამიანის მორალურ-ნებელობითი ხასიათის თვისებების ყველაზე მძიმე შემოწმება. ხალხში ტყუილად კი არ ამბობენ: “თუ გინდა ადამიანი გაიცნო, მიეცი ძალაუფლება”. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხელისუფლებისაკენ დაუოკებლად მსწრაფი უვიცი ადამიანები საკუთარ ინტერესებზე უფრო იზრუნებენ, ვიდრე ხალხისთვის ნორმალური პირობების შექმნაზე.

ჩვენ ვეთანხმებით მათ, ვინც გამოსავალს კონტროლის გაძლიერებაში ხელავს. აუცილებელია ქმედითი, საჯარო კონტროლის ფორმები ყველასთვის: მმართველები იქნებიან ისინი თუ მართვადები.

კონტროლის სისტემაში უნდა მონაწილეობდნენ პოლიტიკური ძალები, სოციალური, ეკონომიკური და სხვა გაერთიანებები. კონტროლის მასალები აუცილებლად უნდა ქვეყნდებოდეს. ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური აქტივობის ამაღლებას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია დემოკრატიული მშენებლობის პერიოდში.



## ზოგი რამ დემოკრატიაზე

ტერმინი დემოკრატია - ხალხის ხელისუფლება - ერთ-ერთი ყველაზე ხშირად განმეორებადი და მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროს საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში. ამავდროულად ავლნიშავთ, რომ როგორც ცნება “ხალხის ხელისუფლება”, რამდენადმე გაზვიადებულია, ის სასიამოვნო აღეგორია უფროა. ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია ფრანგმა ფილოსოფოსმა ჟან ჟაკ რუსომ (1712-1778):

“თუ ტერმინ ”დემოკრატიას“ ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ ჭეშმარიტი დემოკრატია არასოდეს არსებულა და არც იარსებებს. ბუნებრივი რიგის საწინააღმდეგოა, რომ ხალხის უმრავლესობა იყოს მმართველი, უმცირესობა კი - მართული. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ხალხი დაუსრულებლად იკრიბებოდეს საზოგადოებრივ საქმეთა აღსასრულებლად”.

ჟან ჟაკ რუსო [21]

გასაგებია, რომ მთელი ხალხი არ შეიძლება იყოს ხელისუფლება. მაგრამ მისი მონაწილეობა საკუთარი ხელისუფლების არჩევაში არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელი და სავალდებულოც კი არის. როგორც უკვე ზემოთ ავლნიშნეთ, სწორედ ამასთან არის დაკავშირებული მისი, ხალხის კეთილდღეობა.

დემოკრატიაზე არსებობს სხვადასხვა მსჯელობა და შეხედულება. მან ხომ ათასწლეულების გრძელი გზა გამოიარა ანტიკური დემოკრატის პერიოდიდან მოყოლებული. მოკლე ექსკურსი წარსულში შეავსებს ჩვენს წარმოდგენას დემოკრატიაზე, პოლიტიკაზე და ხელისუფლებაზე.

სოკრატე (ძვ.წ. 469 - ძვ.წ. 399) აკრიტიკებდა ათენის დემოკრატიულ პარტიას წილის ყრით არჩევნების საყოველთაო პრაქტიკისათვის.

სოკრატეს შეხედულებებს იზიარებდნენ მისი მოწაფეები და მიმდევრები. მაგალითად, ანტისტენე ათენელი (ძვ.წ. 446 - ძვ.წ. 366), სარკაზმით სთავაზობდა ათენელებს, მიეღოთ დადგენილება და ვირები ჩაეთვალიათ ცხენებად. მათ ეს უაზრობად ჩათვალეს, მაგრამ შეეპასუხა ის:

“... თქვენთან ხომ შეიძლება, არაფერი ისწავლო და, სტრატეგოსიც კი გახდე, ამისათვის საკმარისია მხოლოდ

**უმრავლესობამ ასწიოს ხელი; თქვენ ხომ უბრალო ხმის მიცემით უცოდინარებს მხედართმთავრებად აქცევთ?”**

**ანტისტენე ათენელი [22]**

ჩვენს დროშიც შეიძლება გადხე სტრატეგი მომზადებისა და შესაბამისი ცოდნის გარეშე... როგორ არ გავიხსენოთ ”სხვა სხვისა ომსა ბრძენია”.

სოკრატეს მიაჩნდა, რომ არჩევანი უნდა ხდებოდეს სათნოების, უნარისა და ღირსების მიხედვით. ძირითად სათნოებად მას მიაჩნდა *სამართლიანობა, თავშეკავება და სიმამაცე*, და ყოველივე ეს შეხამებული *ზნეობასთან* და *ცოდნასთან*. მათი არსებობა, სოკრატეს აზრით, წინასწარ განსაღვრავს პიროვნების მიერ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ფუნქციებისა და საქმეების აღსრულებას.

საჯარო დისკუსიებსა და გამოსვლებში მას მოჰყავდა დამაჯერებელი არგუმენტი თავისი შეხედულებების სასარგებლოდ:

**”... გემის მესაჭის, ხუროს ან ფლეიტისტის არჩევა არ შეიძლება წილის ყრით, მაგრამ მხოლოდ უნარისა და ცოდნის მიხედვით”.**

**სოკრატე [23]**

სოკრატე მისცევს სასამართლოს პასუხისგებაში. ბრალდებებს შორის გამოირჩეოდა ერთი: ათენის დემოკრატიის კრიტიკა წილის ყრით არჩევნების პრაქტიკისათვის.

სოკრატე დამნაშავედ სცნევს და მოუსაჯევს სიკვდილით დასჯა. ეს არის მაგალითი, როდესაც უდანაშაულოს დამნაშავედ აღიარებენ. მას შეეძლო გადარჩენა, მეგობრები სთავაზობდნენ გაქცევას, მაგრამ სოკრატემ ნებაყოფლობით მიიღო განაჩენი და დალია ერთი ფიალა შხამი.

პლატონის (ძვ.წ. 428 – ძვ.წ. 348) აზრით, სოკრატემ იმიტომ მიიღო ნებაყოფლობით სიკვდილი, რომ სწამდა სულის უკვდავებისა და მარადიულობისა.

პლატონი იზიარებდა სოკრატეს შეხედულებებს დემოკრატიაზე და ამრეხით უყურებდა მას. ის აკრიტიკებდა დემოკრატიას, რომელშიც ხედავდა ”ბრბოს”, ”უმადური დემოსის” ძალაუფლებას.

პლატონის აზრით, დემოკრატია გაუთვლადია და ამიტომ შეიძლება მიგვიყვანოს ტირანიაში. პლატონი ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც მართვას განახორციელებდნენ ფილოსოფოსები. ამაზევე ოცნებობდა ვოლტერი მრავალი საუკუნის შემდეგ. იგი ამბობდა ”შზადდება გონის სამეფო!”

მართვის ფორმების ორიგინალური განსჯა მოცემული არის არისტოტელეს (ძვ.წ. 384 – ძვ.წ. 322) შრომებში. იგი განასხვავებდა სახელმწიფო მოწყობის სამ კარგ და სამ ცუდ ფორმას. კარგად მას მიაჩნდა მონარქია, არისტოკრატია და პოლიტეა. ცუდი – აღმოცენდება კარგის დეფორმაციის შედეგად: ტირანია – მონარქიის დეფორმაცია; ოლიგარქია – არისტოკრატის დეფორმაცია; დემოკრატია – პოლიტეის დეფორმაცია.

გავიდა საუკუნეები. XVIII საუკუნეში ჯონ ადამსი (1735-1826), აშშ-ს პრეზიდენტი (1797-1801), წერდა, რომ დემოკრატია არ არის ისეთივე სასურველი, როგორც არისტოკრატია ან მონარქია. მას მიაჩნდა, რომ ხელისუფლებამ უნდა შექმნას პირობები ადამიანის შესაძლებლობების გამოვლენისა და ჰარმონიული განვითარებისათვის:

**”მე უნდა შევისწავლო პოლიტიკა და ომები, რათა ჩემმა ვაჟებმა შეძლონ მათემატიკისა და ფილოსოფიის შესწავლა. ჩემმა ვაჟებმა უნდა შეისწავლონ მათემატიკა და ფილოსოფია, გეოგრაფია, საბუნებისმეტყველო ისტორია, გემთმშენებლობა, ნავიგაცია, ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა იმისათვის, რათა მისცენ თავიანთ შვილებს უფლება შეისწავლონ ფერწერა, პოეზია, მუსიკა, არქიტექტურა და სკულპტურა”.**

ჯონ ადამსი [24]

გერმანელი სოციოლოგი რობერტ მიხელსი (1876-1936) ამტკიცებდა, რომ დემოკრატია გარდაუვალად გადაიქცევა ოლიგარქიად. მისი აზრით ეს არის ”რკინისეული კანონი”. ასევე, დემოკრატისათვის დამახასიათებელ თვისებად შეიძლება გახდეს მუდმივი ბრძოლა ხელისუფლებისათვის.

გასული საუკუნის შუა პერიოდში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა სერ უინსტონ ჩერჩილმა (1874-1965) პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა:

**”ცოდვისა და უბედურების ამ სამყაროში მთავრობის მრავალი ფორმა იყო, და იქნება, აპრობირებული. არავინ არ ამტკიცებს, რომ დემოკრატია სრულყოფილი ან ყოვლადბრძნულია. სინამდვილეში უნდა ითქვას, რომ დემოკრატია არის მმართველობის ყველაზე უარესი ფორმა, იმ სხვა დანარჩენ ფორმათა შორის, რომლებიც იყვნენ აპრობირებულნი დროთა განმავლობაში”.**

უინსტონ ჩერჩილი [25]

ფართოდ ცნობილი აფორიზმია: "დემოკრატია – ცუდია, მაგრამ უკეთესი არაფერი არ მოუგონებიათ".

შეიძლება მოიგონონ, მაგრამ უდავოა, რომ დემოკრატიის ფორმა და შინაარსი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა ცვლილებებს სვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით. დღეს ბევრმა ქვეყანამ აირჩია დემოკრატიული განვითარების გზა.

გასული საუკუნის დასასრულს დემოკრატიული არჩევანი გააკეთეს ყოფილი კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა. ეს ტენდენცია გრძელდება დღესაც.

დემოკრატიის ფორმირება და ჩამოყალიბება არის რთული პოლიტიკური პროცესი, რომელიც მოითხოვს მიზანმიმართულ საქმიანობას. ამ პროცესის წარმატებით განხორციელება, რა თქმა უნდა, დამოკიდებული არის დროულად გატარებულ დემოკრატიულ რეფორმებზე.

სავსებით დაუშვებელია რეფორმების ჩანაცვლება დეკლარაციებით და დემოკრატიაზე ლაპარაკით. ეს იქნება ნილაბი, დემოკრატიის იმიტაცია. მის მიღმა შეიძლება იმალებოდეს დემაგოგია, უპასუხისმგებლობა, კორუფცია და ყველაფერი რაც გნებავთ. მათ შორის ხელისუფლების კონცენტრაცია ერთ ხელში, ცნობილი შედეგით.

ადამიანები დემოკრატias უკავშირებენ თავიანთ იმედებს, უკეთეს ცხოვრებაზე ვიდრე ადრე ჰქონდათ. მათ სურთ იხილონ სამართლიანობა, წესრიგი, სასიკეთო ცვლილებები, შრომისა და სიღარიბისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობა.

არც თუ ისე იშვიათად უკეთესის მოლოდინში ისინი აწყდებიან უსუღეულობას, უპასუხისმგებლობას, უსამართლობას, უწესრიგობას და სხვა მრავალ ნეგატიურ გამოვლინებას. მაშინ ისინი განაწყენებით და გულისტკივილით ამბობენ: "ესაა დემოკრატია!?" მსგავსი სიტუაციები წარმოშობენ ადამიანებში გულგატეხილობასა და უნდობლობას. სამართლიანობის გულისათვის უნდა დავინახოთ და დავაფასოთ ის დადებითი, რაც უკვე მიღწეული არის. მაგარამ ეს არ ნიშნავს არ შევამჩნიოთ ის, რაც ჯერ კიდევ გასაკეთებელია. ან თავი დავიმშვიდოთ საყოველთაო კეთილდღეობის ილუზიით, რომელიც ჯერ არ დამდგარა.

დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა გარანტირებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას. ზოგიერთმა ადამიანმა ეს გაიგო როგორც თავაშეებულობა, ყველაფრის კეთების უფლება. ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, განუსაზღვრელი, შეუზღუდავი თავისუფლება. მათი გაგებით, დემოკრატიის პირობებში შეიძლება

გააკეთო რაზეც გაიფიქრებ, რაც მოგესურვება, ყველაფერი რაც მოგინდება.

ისინი ბევრს ლაპარაკობენ თავიანთ უფლებებზე, ხოლო ვალდებულებები ავიწყდებათ. თავის დროზე ლევ ტოლსტოი (1828-1910) ამბობდა:

**”ჩვენ ყველანი ვეძებთ მოყვასისადმი ვალდებულებისაგან თავისუფლებას, მაშინ როდესაც სწორედ ამ ვალდებულების შეგრძნებამ გვაქცია ჩვენ ადამიანებად, და თუ არ იქნებოდა ეს შეგრძნება – ვიცხოვრებდით, ვითარცა მხეცენი...”**

ლევ ტოლსტოი [26]

თავაშვებულობისთვის დამახასიათებელი არის უკულტურობის, თავგერძობის, კანონის დარღვევის და თვით დანაშაულის გამოვლინებაც კი. ის შეიძლება იქცეს ნიადაგად ქაოსის, ძალადობის და ადამიანთა გაბრუების მომხრეთათვის.

კანონი და საზოგადოება წინ უნდა აღუდგეს თავაშვებულობას. დემოკრატია არ აუქმებს არც კანონებს, და არც ადამიანის საზოგადოებაში ყოფაქცევის მორალურ-ეთიკურ ნორმებს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა დომინირებდეს ჰუმანიზმის იდეები. მათი დვრიტაა – მშვიდობა, ადამიანი, შემოქმედება, მორალი, სამართლიანობა. ჰუმანიზმის ამ მადლიერ ნიადაგზე განაგრძობს სიცოცხლეს – ეთნოსის ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, მისი ისტორია და კულტურა.

იქ სადაც არ არის საზოგადების გამაერთიანებელი იდეა, მის ადგილს იკავებს თავაშვებულობა და უზნეობა.

### პოლიტიკურ სისტემაზე

დემოკრატიზმის, მისი განვითარებისა და სტაბილურობის საფუძველს წარმოადგენს პოლიტიკური სისტემა. იგი იქმნება მთელი პოლიტიკური ძალების ერთობითა და ძალისხმევით, როგორცაა: პოლიტიკური ხელისუფლება, პარტიები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და გაერთიანებები, ინსტიტუტები, სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურები. ისინი წარმოქმნიან ურთიერთ განპირობებულ ერთიანობას, სისტემას, რომელიც ყვრდნობა ქვეყნის კონსტიტუციას, საკანონმდებლო და სამართლებრივ ბაზას.

პოლიტიკური სისტემა განსაზღვრავს ხელისუფლების ხასიათსა და შინაარსს, ავრთვევს სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმას.

ხელისუფლების მთელი საქმიანობა ხორციელდება პოლიტიკური სისტემის საფუძველზე და მის ფარგლებში. ამასთან არის დაკავშირებული სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქციების შესრულება:

- კონსტიტუციური წესწესობების, ყველა მოქალაქის, უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ადამიანის, მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა;
- ეროვნული ეკონომიკის შექმნა, მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა;
- მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისა და ჯგუფების სოციალური პრობლემების გადაწყვეტა; ზრუნვა მოზარდ თაობებზე; ყურადღება მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისადმი;
- პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების ჰარმონიზაცია;
- საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს რეგულირება, სიღარიბის დაძლევა, ცხოველმოქმედებისათვის აუცილებელი ყველა პირობის შექმნა.

გასაგებია, რომ ეს არ არის ყველა ფუნქცია და შესაბამისად პრობლემა, მაგრამ მათი გადაწყვეტის პროცესში მიღებული შედეგები წარმოადგენს დემოკრატიული მშენებლობის მდგომარეობის მაჩვენებელს.

### **პოლიტიკურ პარტიაზე**

დემოკრატიის პირობებში პოლიტიკური პარტიების საქმიანობა არის მნიშვნელოვანი, აუცილებელი და მოთხოვნადი.

პოლიტიკური პარტიები გამოხატავენ საზოგადოების ან მისი ნაწილის ინტერესებს. გარკვეულ ისტორიულ პირობებში შეიძლება გამოხატონ მთელი ხალხის ინტერესები და დაიცვან ისინი.

პარტიების მთავარ მიზანს წარმოადგენს პოლიტიკური ხელისუფლების დაუფლება. ამით, ძირითადად, განისაზღვრება მათი როლი და მნიშვნელობა საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, დემოკრატიის ფორმირებასა და ჩამოყალიბებაში.

პარტიებისათვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი მოღვაწეობა. მოღვაწეობისა და პრობლემების სპექტრის შესაბამისად აღსანიშნავია ფუნქციები:

- საზოგადოების, ხალხის ინტერესებს დაცვა, აგრეთვე ყოველივე იმისას, რაც წარმოადგენს მის მონაპოვარს;

- აქტიური მონაწილეობა საარჩევნო კამპანიების მომზადებასა და ჩატარებაში, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ფორმირებაში;

- პარტიის წევრებში და მის მომხრეებში პოლიტიკური ცნობიერებისა და პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება;

- პოლიტიკური სოციალიზაცია, ადამიანების ჩართვა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დემოკრატიული მშენებლობის საწყის ეტაპზე, როგორც წესი, არის ბევრი პარტია, შემდგომში მათი რიცხვი მცირდება, რაც საკვებით ბუნებრივია.

პარტიები წარმოადგენენ პოლიტიკური პროცესის მამოძრავებელ ძალას.

როდესაც პარტია მოდის ხელისუფლებაში, მაშინ სრულად იხსნება და ნათელი ხდება პროგრამების, განცხადებებისა და მოღვაწეობის შინაარსი.

ნიკო ნიკოლაძის (1843-1928) აზრით, რომელსაც ევროპაში ორი საუკუნის გენიოსს უწოდებდნენ:

“...საქმე მარტო ბრძოლაში როდი მდგომარეობს. ყველაზე უფრო მძიმე და გავლენიანი საქმე... იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მოიხმარს რომელიმე პარტია თავის გამარჯვებას, რას გაარიგებს და გააწყობს ის, როცა ბრძოლის ასპარეზი ხელში დარჩება, როგორ გამოიყენებს თავის გავლენას და დააგვირგვინებს თავის შრომას, რაც უფრო ხეირიანად და დაუფანტველად ხმარობს თავის ძალას გამარჯვებული პარტია, მით უფრო ხანგრძლივია მისი გავლენა, მით უფრო და უფრო სუსტდება მისი მოწინააღმდეგე პარტია, მით უფრო ძლიერდება საზოგადოების მყუდროება და ბედნიერება”.

ნიკო ნიკოლაძე [27]

### ოპოზიცია

დემოკრატიის პოლიტიკური სისტემა ოპოზიციის კანონიერად და საჯაროდ ფუნქციონირების საშუალებას იძლევა.

ტოტალიტარულ და სხვა პოლიტიკურ რეჟიმებში ოპოზიციური საქმიანობა აკრძალულია.

სიტყვა ოპოზიცია ნიშნავს – დაპირისპირებას, საპირისპირო ქმედებას.

პოლიტიკურ ცხოვრებაში ადამიანთა ჯგუფს, ან ერთ ადამიანს, შეუძლია დაუპირისპიროს თავისი პოლიტიკა და შეხედულებები უმრავლესობის პოლიტიკასა და შეხედულებებს. ეს შეიძლება ხდებოდეს ხელისუფლებაში, ასევე მის გარეთ: პარლამენტში, პარტიაში, გაერთიანებაში და ასე შემდეგ. ყველაზე უფრო ხშირად ოპოზიცია ჰყავს ხელისუფლებას. დემოკრატიულ საზოგადოებაში ეს არის საესეებით ნორმალური მოვლენა. ოპოზიცია უნდა იყოს კონსტრუქციული. ასეთ ოპოზიციას შეუძლია სიკეთის შექმნისათვის იღვაწოს.

აფასებს რა კრიტიკულად ხელისუფლების საქმიანობას ოპოზიცია გვთავაზობს საშინაო და საგარეო პრობლემების გადაწყვეტის საკუთარ ხედვას. ამით მას შეუძლია დაესმაროს ხელისუფლებას, გააფრთხილოს იგი შეცდომებისა და ჩავარდნებისაგან.

**”ის, ვისაც სიკეთის მოტანა სურს, კი არ უნდა ილანძებოდეს და სხვათა ნაკლს აზვიადებდეს, არამედ მარად სიკეთეს ემსახურებოდეს. საქმე ნგრევა კი არ არის, არამედ შექმნა იმისა, რაც კაცობრიობას ახარებს”.**

გოეთე [28]

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის უთანხმოების დაძლევის ძირითად საშუალებას წარმოადგენს დიალოგი. მათ ურთიერთობებში სამართლიანობისა და ტოლერანტობის შედეგად შესაძლებელია თანხმობისა და კომპრომისის მიღწევა.

ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოსახდენად ოპოზიციას შეუძლია გამოიყენოს აგრეთვე სხვა კონსტიტუციური საშუალებები და ფორმები. სასურველია, რომ ისინიც დამთავრდეს დიალოგით და შეთანხმებით. ოპოზიციის მიერ ჩატარებული აქციები არ უნდა სცილდებოდნენ კონსტიტუციურ ფარგლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს. ის ადამიანები, რომლებიც თავს ოპოზიციად ასაღებენ, მაგრამ არაფერი საერთო მასთან არა აქვთ და ილტვიან ხელისუფლებებისაკენ მხოლოდ ხელისუფლებისათვის, დესტრუქციული გზებით და ანგარებიანი მიზნებით, ქმნიან დესტაბილიზაციისა და ქაოსის საშიშროებას. სამწუხაროდ არსებობს სხვადასხვა ქვეყნების მწარე გამოცდილება.

ოპოზიციას შეუძლია დააყენოს საკითხი ხელისუფლების ვადამდელ შეცვლაზე, თუკი მისი მოთხოვნები დასაბუთებულია, სამართლიანია და შეესაბამება ხალხის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს. გადამწყვეტი ამ სიტუაციაში არის



ხალხის აზრი. ამიტომ მას უნდა ეკითხებოდეს, აწყობს არსებული ხელისუფლება, თუ არა.

### არჩევნებსა და ხმის მიცემაზე

დემოკრატიის პირობებში ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება გახდეს პრეტენდენტი სახელისუფლებო არჩევნებში. მაგრამ ნებისმიერი არ ნიშნავს საუკეთესოს, ხოლო მეფობის მსურველთა რაოდენობა, სამეფო სისხლის გარეშე, საკმაოზე მეტია. პრეტენდენტებს შორის შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც არ გააჩნიათ არანაირი მონაცემები, რომ უხელმძღვანელონ ხალხსა და სახელმწიფოს. უბედურება გარდაუვალი იქნება, თუკი ასეთი ადამიანები მოხვდებიან ხელისუფლებაში. ხელისუფლებაში დელეგირებული უნდა იყვნენ ყველაზე ღირსეული ადამიანები.

**“ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს საუკეთესო, რჩეულ პიროვნებებს, რომლებსაც ეკისრებათ უდიდესი პასუხისმგებლობა და რომლებიც კისრულობენ უდიდეს მოვალეობას.”**

ნიკოლოზ ბერდიაევი [29]

მაშ რა ვქნათ? როგორ ამოვარჩიოთ რამოდენიმე პრეტენდენტიდან საუკეთესო, ღირსეული, თუკი ინფორმაცია მათზე მწირია და ჩნდება მხოლოდ არჩევნების წინ. ამომრჩეველი უნდა ფლობდეს სრულ ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც ჩამოუყალიბდება წარმოდგენა პრეტენდენტზე, მის ღირსებებზე და ნაკლოვანებებზე.

ჩვენ შემოვიფარგლებით რიგი საკითხებით:

- განათლება, პროფესიული საქმიანობა, ადამიანებთან მუშაობის გამოცდილება;

- ზნეობრივი პრინციპები, ერუდიცია, უცხო ენების ცოდნა;

- პოლიტიკური ორიენტაცია;

- ეროვნული ცოვრების წესისადმი და ეროვნული თვითმყოფადობისადმი დამოკიდებულება.

პასუხები ამ კითხვებზე დროულად უნდა იყოს დაყვანილი ამომრჩეველამდე.

ინფორმაციის წყაროები პრეტენდენტების შესახებ შეიძლება იყოს: ბიოგრაფიული მონაცემები, ანკეტირება, ტესტირება და სხვა.

უნდა ავლნიშნოთ, რომ არსებობს უარყოფითი დამოკიდებულება სამედიცინო დასკვნის აუცილებლობის შესახებ. მაგრამ მსგავსი დასკვნის გარეშე არ შეიძლება საკუთარი ავტომობილის მართვა.

მოცემულ შემთხვევაში კი საუბარი არის სახელმწიფოსა და ადამიანების მართვაზე.

კანონმდებლობა არჩევნებისა და ხმის მიცემის შესახებ მუდმივად იხვეწება, რაც სავსებით ბუნებრივია. ეს მდგომარეობა და ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვარწმუნებს იმის აუცილებლობაში, რომ მიეცეს სისტემური ხასიათი პრეტენდენტებთან და ამომრჩევლებთან მუშაობას, კიდევ უფრო დაიხვეწოს წინასაარჩევნო კამპანია.

მკითხველებსა და ამომრჩევლებს შევახსენებთ მრავალჯერ გამეორებულ აფორიზმს: "ვისაც ავირჩევთ, რა განაწესს წავუყენებთ, როგორ გავაკონტროლებთ მათ საქმიანობას, ისე ვიცხოვრებთ..." დროთა განმავლობაში, ადრე თუ გვიან, მოდის იმის გაცნობიერება, რომ ჩვენი ცხოვრება, სამწუხაროდ, მრავალწილად დამოკიდებულია ხელისუფლებაზე.

არჩევნები უნდა იყოს სამართლიანი, პატიოსანი და გამჭვირვალე. მსგავსი არჩევნების ჩატარებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას.

ხმის მიცემა წარმოადგენს არჩევნების მნიშვნელოვან პრობლემას. პირდაპირ უნდა ითქვას, მოძველდა ხმის მიცემის სისტემა, მისი საშუალებები და მეთოდები.

ყველაფერი ეს ხდება გლობალური კომპიუტერიზაციის ეპოქაში, ხმის მიცემის ახალი თანამედროვე სისტემის ძიება მიმდინარეობს, ტარდება ექსპერიმენტები. მაშასადამე, დადებითი შედეგის იმედი უნდა ვიქონიოთ.

არჩევნების ორანიზაციისა და ჩატარების დროს ზოგჯერ აღგილი აქვს უზუსტობასა და ხარვეზებს. ეს ხმის მიცემის პროცესში ჩარევის საშუალებას იძლევა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ამომრჩეველთა სიების დროულ მომზადებას, დაზუსტებას და შევსებას. საარჩევნო სიები უნდა იყოს მუდმივი კონტროლის ქვეშ, რათა არ მოხდეს მათი დამახინჯება.

ამავდროულად, ავლნიშნავთ, რომ ხელისუფლება ქმნის პირობებს იმისათვის, რომ ადამიანმა გააკეთოს თავისი არჩევანი, მიუხედავად იმისა თუ სად იმყოფება ის. არჩევნების პროსესში ნებისმიერი დარღვევა მკაცრად უნდა ისჯებოდეს, იმისდა მიუხედავად თუ ვინ ჩაიდინა ეს.

ამომრჩეველთა აქტივობა და საკუთარი ხელისუფლების არჩევისადმი გაცნობიერებული დამოკიდებულება უკეთესობის იმედს ბადებს.

კორუფცია

დემოკრატიულ სახელმწიფოში გარანტირებულია მოქალაქეთა სამეწარმეო საქმიანობის უფლება. ადამიანები სარგებლობენ ამ უფლებით და იწყებენ "საქმეს", დიდს თუ პატარას.

მაგრამ არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომლებსაც გააჩნიათ გაუმაძღარი სწრაფვა პირადი გამდიდრებისადმი დანაშაულებრივი გზით. მათი "საქმიანობა" აღინიშნება ტყუადი ცნებით – კორუფცია. ეს არის – მოსყიდვა, მექრთამეობა, მაქინაცოები, თაღლითობა, პირამიდები, სახალხო და სახელმწიფო სახსრების მითვისება, ყალბი ფირმები და სხვა. კორუფცია, როგორც ჟანგი რკინას, ისე ვნებს სახელმწიფოსა და საზოგადოებას, აყენებს მათ დიდ მატერიალურ და მორალურ ზიანს.

ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე საკუთარი თავისა და საზოგადოების თითქოსდა დასამშვიდებლად ხაზგასმით აღნიშნავს: "...კორუფცია ყველგან არის". არის, მაგრამ ეს არ იძლევა მშვიდად ყოფნის უფლებას. სიტყვამ მოიტანა და ზოგიერთ ქვეყანაში, რომელიც დაადგა დემოკრატიული აღმშენებლობის გზას, კორუფცია თითქმის დაძლეულია.

თამანდროვე კორუფციის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ხელისუფლებისაკენ სწრაფვა. ეს არის – კორუფციის პოლიტიკური შეფერილობა, მისი შენიღბული ვარიანტი ხელისუფლების მისაღწევად. თანამეროვე კორუმპირებული "მოღვაწეები" ცდილობენ მოხვდნენ პარლამენტში, მთავრობაში და თვით პრეზიდენტის სავარძელში. ხელისუფლებისაკენ მიმავალ გზა საიმედოდ უნდა იყოს დაცული, რაზედაც ზემოთ გეჭონდა საუბარი.

კორუფციასთან ბრძოლა და მისი აღმოფხვრა არის ხელისუფლებისა და საზოგადოების საქმე. ჩვენ კი შემოვიფარგლებით ზოგიერთი მოსაზრებით ამ სენთან დაკავშირებით:

- ადამიანი, გამდიდრებისადმი მისი დაუოკებელი სწრაფვა, მისი ფსიქიკა და მორალი;
- ნაკლოვანებები მართვის სისტემაში, უპასუხისმგებლობა, უკონტროლობა;

ამასთან დაკავშირებით მართებული იქნება გავისხენოთ 2009 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. მან მძიმე გავლენა მოახდინა ათეულობით ქვეყნის ეკონომიკაზე. ექსპერტები ცდილობდნენ გარკვეულიყვნენ კრიზისის მიზეზებში, სად გაქრა ფანტასტიურად დიდი თანხები. საინფორმაციო ცნობები აჭრელბული იყო სიტყვებით: ბანკები, ბირჟები, მანიპულაცია და სხვა. მაგრამ ყოველივე ამის უკან დგას ადამიანი, ადამიანური

ფაქტორი. კრიზისი შესაძლოა არის იგივე კორუფცია, ოღონდ საერთაშორისო მასშტაბით.

XIX საუკუნეში რობერტ ოუენი (1771-1858) წერდა, რომ ადამიანების სიღარიბე, ტანჯვა და უბედურება დაკავშირებული არის იმ მრავალრიცხოვან დანაშაულებებთან, რომლებიც ჩადენილი არის ადამიანის სწრაფვით პირადი გამდიდრებისადმი. მან აჩუქა ადამიანებს იმედი, მოუწოდა ადამიანს მისაღებოდა ისეთი ერის დადგომას, როდესაც სამეცნიერო წარმატებები და ადამიანთა აღზრდა:

**”...აქცევს ბრძოლის გაგრძელებას პირადი გამდიდრებისადმი არა მარტო ზედმეტად, არამე ყველასთვის მავნედ”.**

**რობერტ ოუენი [30]**

მან მიმართა მომავალ თაობებს მოწოდებით, რომელიც ანდერძით ურერს:

**”ყველა ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეები ვალდებული იქნებიან შეისწავლონ მეცნიერების პრინციპები, რომელიც საშუალებას მისცემს მათ ისე მართონ სახელმწიფო, რომ მიანიჭონ ბედნიერება საკუთარ თავს და თავიანთ ხალხს”.**

**რობერტ ოუენი [31]**

ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ოუენი იყო უტოპისტი. ვსარგებლობთ შემთხვევით და გვინდა ავლიწნოთ, რომ რობერტ ოუენი ”მონათლეს” უტოპისტად შესაძლოა იმიტომ, რომ მან იცოდა კლასების არსებობა და არ მოუწოდებდა კლასობრივი ბრძოლისაკენ, რევოლუციებისა და ნგრევისაკენ. მას არ მიანდა კლასობრივი ბრძოლა გარდაუვალად, უნდა ექცია ადამიანები ბედნიერად სიკეთისა და აღმშენებლობის გზით.

ზოგიერთ გამოცემაში უტოპია განიმარტება, როგორც ფანტაზია. ოცნება, რომელსაც არ გააჩნია გახორციელების საფუძველი.

პრაქტიკამ და მეცნიერებამ უარყო ეს. კაცობრიობის ოცნებები ხორცმესხმული იქნა ცხოვრებაში: ფლორტი, ავიაცია, კოსმოსი. ანუ დამტკიცდა ოცნებების გახორციელების შესაძლებლობა. ადამიანი ყოველთვის ოცნებობდა თავისუფლებასა და ბედნიერ ცხოვრებაზე, ოცნება – მისი უფლებაა.

**ცოტა რამ გლობალიზაციაზე**

ჩვენი ცივილიზაციის განვითარებაში, ალბათ, არის ხალხებისა და ქვეყნების დაახლოების ტენდენცია. შესაძლოა ეს ტენდენცია წარმოადგენს გლობალიზაციის საერთაშორისო პროცესის საფუძველს. მისთვის დამახასიათებელია ურთიერთქმედება და თანამშრომლობა ეკონომიკაში, კულტურაში და სხვა სფეროებში. ამ პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს ცოდნა და განათლება, წინსვლა ცოდნის საშუალებით. ამავდროულად ხალხებმა და სახელმწიფოებმა უნდა შეინარჩუნონ თვითმყოფადობა, არა და სამყარო გადაიქცევა დიდ სოფლად.

არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ გლობალიზაციამ შეიძლება მოახდინოს ყოველივე ეროვნულის ნიველირება: ენის, წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, კულტურის და ისტორიის. ყველაფერი ეს წარმოადგენს ხალხის ეროვნულ მონაპოვარს. ერი და ეროვნულობა არის ადამიანთა მოღვაწის გარჩევის უფლის მიერ ბოძებული კეთილი და უმტკივნეულო ფორმა.

არავის არა აქვს უფლება ხელაყოს ხალხის საკუთრება, მისი თვითმყოფადობა და ეროვნული ცხოვრების წესი. ეს ფასეულობები იქმნებოდა საუკუნეების განმავლობაში.

ხელისუფლების ვადლებულებას წარმოადგენს დაიცვას ხალხის მატერიალური და სულიერი ფასეულობები ნებისმიერი ხელყოფის მცდელობისაგან, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს საფრთხე, შიგნიდან თუ გარედან.

ერი და ეროვნულობა წარმოადგენს ნებისმიერი ეთნოსის არსებობის ფიზიკურ და სულიერ საფუძველს. ადამიანს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, ახსოვს და უყვარს თავისი ერი, რწმენა და მამული. პატივს მიაგებს წინაპრებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არის “ადამიანი არსაიდან”, ჯიშისა და ჯილაგის გარეშე.

ყოველივე ეროვნულისადმი ფაქიზი დამოკიდებულება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს რაიმე კარნაკეტილობას ან შეზღუდულობას. პირიქით, რაც უფრო ძლიერია ხალხის ეროვნული ფესვები, მით უფრო მაღალია მისი ინტერნაციონალური პოტენციალი. ეს არის – საერთაშორისო კავშირები, თანამშრომლობა, ერთობლივი პროექტები, პარტნიორობა, ურთიერთდახმარება.

## ლიტერატურა

### References:

1. Гегель Г.В.Ф. Система наук. Часть 1. Феноменология духа. СПб: Наука, 1999. -444 с.-перевод Г.Шпета. репринт 4 тома 1959 г.- С.16.  
<http://filosof.historic.ru/books/item/f00/s00/z0000395/st000.shtml>

2. *Моджеский А.Ф.* Об исправлении государства. Антология мировой философии в четырех томах. Т.2. М., 1970, с. 132.
3. SoTa rusTaveli. vefxistyaosani. Tbilisi, 1986, gv. 215.
4. Сократ. См.: История политических и правовых учений. – М., 1988, с. 60.
5. *Макс Вебер.* Избр. произведения. – М.: Прогресс, 1990, с. 646.
6. *Аристотель.* Сочинения. Т.4. М., 1984, с. 467.
7. *Освальд Шпенглер.* Закат Европы. – М., 1993, с. 102.
8. amilaxvari al. ix.: rexviaSili i.,jaliaSvili j.,xoWolava v. politologia. damxmare saxelmZRvanelo. nawili I. gamomcemloba “iveria”, Tbilisi, 1991, gv. 5.
9. aSS-s damoukideblobis deklaracia.  
<http://gametv.ge/forum/index.php?showtopic=4452&pid=298510&mode=thread&start=100>
10. *Платон.* Полн.соб. творений Платона в 15 томах. Т. XIII. Петербург, 1923, с.129.
11. *Лабрюйер Ж.* Характеры, или Нравы нынешнего века. Человек: Мыслители прошлого и настоящего о его жизни, смерти и бессмертии. Древний мир – эпоха Просвещения. М., 1991. с.287.
12. karlaili t. drois niSnebi. essebi. Tbilisi, 1989, gv. 141.
13. paskali b. azrebi. saunje, 1976 #2, gv. 176.
14. SoTa rusTaveli. vefxistyaosani. Tbilisi, 1986, gv. 126.
15. *Вебер М.* См.: Вопросы философии, №6, 1988. с.151.
16. *Вебер М.* Избранные произведения. – М., 1990. с. 694.
17. *Кропоткин П.* Анархия, ее философия, ее идеал. СПб., 1906, с.31.
18. Блаватская Е. П. Тайная доктрина. т. II, Издательско-торговая фирма «Т-ОКО», 1991, с. 467-468.
19. *Кант И.* Из «Лекции по этике» (1781-1782), // Этическая мысль: Науч.-публицист. чтения. М., 1988, с.329.
20. *Парето В.* Трактат общей социологии. Современная буржуазная политическая наука: Проблемы государства и демократии. – М., 1982, с. 43.
21. *Руссо Ж.Ж.* Об общественном договоре. Трактаты / Пер. с фр. – М.: «КАНОН-пресс», «Кучково поле», 1998. – 416 с. Глава IV. О ДЕМОКРАТИИ.
22. Антистен из Афин. См.: Человек: Мыслители прошлого и настоящего о его жизни, смерти и бессмертии. Древний мир – эпоха Просвещения. М., 1991. с.71.
23. Сократ. См.: История философии (общий курс). Мареев С.Н., Мареева Е.В. М.: Академический Проект, 2004.с. 77-78.
24. См.: *Адамс Д.* Афоризмы, цитаты, высказывания. <http://aphorism-citation.ru/index/0-456>

25. Winston Churchill. Speech in the House of Commons (1947-11-11). The Official Report, House of Commons (5<sup>th</sup> Series), 11 November 1947, vol. 444, cc.206–07. [http://hansard.millbanksystems.com/commons/1947/nov/11/parliament-bill#column\\_206](http://hansard.millbanksystems.com/commons/1947/nov/11/parliament-bill#column_206).
26. Толстой Л. См.: Косолапов Р. О самом главном. М., 1983, с. 110.
27. nikolaZe n. rCeuli qarTuli mwerloba. t. 14, Tbilisi 1997, gv. 67.
28. goeTe i. ix.: goeTes saubrebi ekermanTan. baTumi, 1988, gv. 67.
29. Бердяев Н. Судьба России. – М., 1990, с. 215.
30. Оуэн Р. Книга о нравственном мире. Утопический социализм. Хрестоматия. М., 1982, с. 328-329.
31. Оуэн Р. Изб. соч. в 2-х томах., т.1. М., 1950, с.150.

## **Irakli Rekhviashvili, Otar Kochoradze** **Something about democracy**

### **Summary**

In the offered publication, some vital problems of a human being are considered from the position of a political science. We do not concern the specific states or persons, but at the same time, we mean the process of development of democracy.

The political science was taught, neither at schools, nor in high schools in the totalitarian regime. Some generations have no comprehensive idea of a person's life-giving ability: about the politics, authority and democracy. They don't know how to participate in a political life and take part in the elections of their own authority.

We hope that this publication will partly help us better realize the main thing: the essence of these well-known concepts connected with our life.

Discussing these problems we addressed ourselves to wisdom – the world's outstanding thinkers' views and judgments.

Wisdom is the eternal category. It is fair, moral and closer to the truth. Wisdom is always necessary in the person's, the society's and the state's vital affairs.

In the international relations and politics, wisdom helps to increase confidence and mutual understanding and also to decrease intensity.

- წარმოიშვა თავისებური შემოსავლების გადანაწილება განვითარებული ჩრდილოეთის სასარგებლოდ. ასეთი გადანაწილების მკაფიო მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ ცნობილი „ფასების მაკრატივი“ – მზარდი განსხვავება ნედლეულისა და მზა პროდუქციის ფასებისა. ასეთი გადანაწილება ჩრდილოელი ქვეყნების სასარგებლოდ წარმოადგენს გეოეკონომიკური რენტული გადასახადის არსს, რაც წარმოადგენს თავისებურ გლობალურ გადასახადს ეკონომიკურ საქმიანობაზე.

მსოფლიო ეკონომიკის ფარგლებში ვლინდება მისი სპეციალიზირების სეგმენტები: თვითმყოფადი „დიდი სივრცეების“. გაერთიანებული კულტურული ისტორიული კოდებით, სამეურნეო საქმიანობის სტილით, საერთო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით და სტრატეგიული მიზანმიმართულებით. ყალიბდება მსოფლიო სისტემა „ეკონომიკური პლურალიზმის“ სამი ცენტრით: ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა აშშ-ს ეგიდით, ევროპა ევროკავშირის ეგიდით, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია-იაპონიის ეგიდით [3. 46].

გლობალიზაციის პროცესი ასევე დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაზე და მის ცვლილებაზე. საუბარია, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალური სახელმწიფოების როლის შემცირებასა და არასახელმწიფოებრივი აქტორების როლის გაზრდაზე, ახალი საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნაზე.

მთლიანობაში გლობალურ სამყაროში საერთაშორისო ურთიერთობების ახალი დამახასიათებელი ნიშნების შეიძლება გამოვყოთ:

- არასახელმწიფოებრივი აქტორების ეკონომიკური პოტენცი-ალის ზრდა და მისი დამოუკიდებლობის მოთხოვნის რეალიზაცია საერთაშორისო სფეროში.
- სახელმწიფოთა შიდა და გარე პოლიტიკის საზღვრების მოშლა.
- წარმოიქმნება პირობები, რომლის დროსაც „გეოეკონომიკური და გეოფინანსური ძალაუფლება კარნახობს მსოფლიოს თავის თამაშის წესებს, რაც ქმნის თავისებურ ნეოლიბერალური



გლობალიზაციის საკანონმდებლო ბაზას, გეოპოლიტიკა ამართლებს მათ, ხოლო სამხედრო კომპონენტი იცავს. დიპლომატია ამ შემთხვევაში ხელფონების სფეროდ გადადის მსოფლიოს ეკონომიკურად გარდაქმნის ტექნიკურად გაფორმების დონეზე.

ამის გარდა გლობალიზაციამ საერთაშორისო არენაზე გამოიყვანა მოქმედი პირების მთელი ჯგუფი (საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, ეკოლოგიური და სამართალდამცავი ორგანიზაციები, რელიგიური მოძრაობები, ტერორისტული ჯგუფები, დანაშაულებრივი გაერთიანებები, კვლევითი ცენტრები და ბევრი სხვა). ძალიან განსხვავებულია თავისი მიზნებით და ინტერესებით, რაც ტრადიციულ დიპლომატიას აქცევს, როგორც ერთ-ერთ მრავალთა შორის, საერთაშორისო ურთიერთობების აზრად და საკამათო პრობლემების მოსაგვარებელ მექანიზმად [4. 57].

გლობალიზაციის პირობებში ფართოვდება არეალი და ინტენსიური, ეკონომიკური, კულტურული, ფინანსური კავშირები მთელს მსოფლიოში. გლობალიზაცია, რომელიც აღნიშნავს გლობალური ეკონომიკური პროცესების ადაპტაციის ადგილობრივ პირობებში, ან უფრო ფართოდ იგი საზღვრავს ჩახლართული პროცესების და ურთიერთადაპტაციის გლობალური „მიმდევრობების“ და კულტურული ტრადიციების და „ადგილების“ სოციალურ უმოქმედობას.

წიგნის ავტორი „კონკურენციის საზღვრები“ გვაფრთხილებს, რომ მსოფლიოში უკვე მიდის ბრძოლა სროლების გარეშე, მაგრამ ბრძოლა სიცოცხლისათვის. ეს არის ბრძოლის ახალი სახე „ფსიქოლოგიურ-ეკონომიკური ომი გლობალური მართვისთვის“.

კონკურენცია მსოფლიოში იქცა „უნივერსალურ კრედო იდეოლოგიად“; ტრანსნაციონალისტური კომპანიები განიხილავენ მთელ პლანეტას, როგორც ერთ მსოფლიო ბაზარს, გლობალიზაცია ქმნის განხეთქილების ზრდის საშიშროებას სახელმწიფოთა კეთილდღეობათა შორის. ამ პირობებში შეუძლიათ განმტკიცდნენ არა მარტო ისინი, რომელთა განკარგულებაშია უახლოესი ტექნოლოგიები და იაფფასიანი, კვალიფიციური და მოქნილი სამუშაო ძალა [5. 112].

ამრიგად, ეკონომიკურ სფეროში მიღებული განვითარების შედეგად XX საუკუნის დასაწყისში გლობალიზაცია გასცდა მის საზღვრებს და რეალურად იწყო მსოფლიოს პოლიტიკური სტრუქტურის გარდაქმნა. ამიტომ დღეს მკვლევართა ყურადღების ცენტრშია გლობალიზაციის ისეთი წინააღმდეგობები, როგორიცაა:

- ურთიერთკავშირი საერთო საკაცობრიო ინტერესებისათვის მსოფლიოში, ნაციონალური და ეთნიკური თავისებურებები.
- გლობალიზაციასა და იდენტურობასთან სწრაფვაში ხალხთა თვითგამორკვევაში, სოციალურ საზოგადოებაში, პიროვნულობაში.
- საზოგადოებრივ წესრიგში, სახელმწიფოს შიგნით შენარჩუნებული წესრიგი და „ბუნებრივი გარემოებები“ გამეფებული საერთაშორისო ურთიერთობებში და ა.შ. გლობალიზაციის კრიტიკას აქვს საკმაოდ სერიოზული საფუძველი. ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა განხეთქილება ცხოვრების დონეებს შორის მდიდარ და ღარიბ ქვეყნებში, პირველად ისტორიაში წარმოიქმნა საკითხი სახელმწიფოების ევექტურობაზე. გლობალიზაციის საწინააღმდეგო საპროტესტო მოძრაობების მონაწილეები და ორგანიზატორები თანამედროვე მსოფლიოში იხსენიებიან, როგორც „ანტიგლობალისტები“.

დღევანდელი დღისათვის არსებობს ორი ურთიერთგანსხვავებული წარმოდგენა ანტიგლობალისტებზე. ერთი მხრივ, ფართოდ გავრცელებულ აზრს მათ შესახებ წარმოადგენს, როგორც პერსპექტივების არმქონენის, საზოგადოებრივი პროგრესის დამუხრუჭებელის და ისტორიის კანონზომიერი მსვლელობის წინააღმდეგ გამომსვლელის. მეორე მხრივ, ანტიგლობალისტებში ხედავენ პროლეტარიატის შემცველებს, ანუ სოციალურ-პოლიტიკურ ძალას, მიმართულს ბოლო მიოდოს უსამართლობას – ეკონომიკურ უთანასწორობას და პოლიტიკურ მბრძანებლობას უმცირესობისას უმრავლესობაზე.

ანტიგლობალიზმი წარმოიქმნა, როგორც საერთაშორისო საზოგადო საპროტესტო მოძრაობა, რომლის არსიც გამოიხატება არალიბერალური გლობალიზაციის ინტელექტუალურ და ორგანიზაციულ ალტერნატივაში. ანტიგლობალიზმის მრავალსპექტიანი არსიდან გამომდინარე ის შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც დემოკრატიული ალტერნატივა არალიბერალური გლობალიზაციის თანამედროვე პოლიტიკაში, რომელიც მიმართულია ახალი, უფრო მეტად სამართლიანია ცივილიზაციის აღმშენებლობისაკენ.

თავისი არსებობის არც თუ ისე დიდ პერიოდში ანტიგლობალურმა მოძრაობამ განიცადა საკმაოდ დიდი ევოლუცია, გაიარა რა გზა, განცალკევებული და სამინტანური გამოსვლებიდან

მაკრონაღდსის წინააღმდეგ. ორგანიზაციის შექმნის მცდელობამდე – თავისებური საერთაშორისო ანტიგლობალური ინტერნაციონალისა.

### ლიტერატურა

#### References:

1. Е.А. Громова, Е. Г. Широкова, Антиглобализм: Новые повороты. М., 2003.
2. Антиглобализм: Теория и практика антиглобалистического движения, редактор А. В. Вузгалина. М., эдиториал УРСС 2003.
3. С. А. Ланцова, В. А. Ачкасова, Морская политика и международные отношения. М., 2008.
4. М. Waters, Globalization, London, 1995.
5. pol hersti, grem tompsoni, globalizacia kritikuli analizi. Tb., 2005.

### Tengiz Grigolia

#### The influence globalization of World policy and economic

##### Summary

Many anti-globalization activists generally cal for forms of global integration that better provide democratic representation, advancement of human rights and more egalitarian states.

The activists are especially opposed to „globalization abuse” and international institutions that promote neoliberalism without regard to ethical standards. Common targets include the World Bank (WB), International Monetary Fund (IMF), the Organization for Economic Cooperation and Development (OECD) and the World Trade Organization (WTO) and free trade treaties like the North Area of the Americans (FTAA), the Multilateral Agreement on Investment (MAI) and the General Agreement on Trade in Services (GATS). In light of the economic gap between rich and poor countries, movement adherents claim „free trade” without measures in place to protect the environment and the health and well being of workers will contribute only to the strengthening the power of industrialized nations (often termed the „North” in opposition to the developing world’s „South”).

A report by Jean Ziegler, UN Special Rapporteur on the right to foot, notes that „millions of farmers are losing their livelihoods in the developing countries,

but small farmers in the northern countries are also suffering” and concludes that „the current inequities of the global trading system are being perpetuated rather than resolved under the WTO, given the unequal balance of power between member countries”. Activists point to the unequal footing and power between developed and developing nations within the WTO and with respect to global trade, most specifically in relation to the protectionist policies are towards agriculture enacted in many developed countries. These activists also point out that heavy subsidization of developed nations agriculture and the aggressive use of export subsidies by some developed nations to make their agricultural products more attractive on the international market are major causes of declines in the agricultural sectors of many developing nations.

**Keywords:** globalization, anti-globalization, world policy and economic.

**Reviewer:** Professor Vaja Shubitidze, Georgian Technical University

**Тенгиз Григолия**

**Влияние глобализации на мировой политике и экономике**

### **Резюме**

Понятие глобализации вошло в научный оборот в 90-х годах XX века. Существует множество концепций, объясняющих природу глобализации, её сущность и последствия. Глобализация проявляется во всех основных сферах жизни человеческого общества, в частности, она оказывает влияние на формирование политических институтов и протекание политических процессов на различных уровнях. Рассмотрение процесса глобализации актуально постольку глобализация является контекстом современного общественного развития.

На фоне глобализационных изменений конец 90-х гг XX века и начало века ознаменовались всплеском активности общественных объединений, получивших название антиглобалистских. Эти организации отстаивают интересы различных, и, подчас, широких слоев населения. Они реагируют на проявления, по их мнению, социальной несправедливости в различных сферах жизни общества в условиях глобализации. Они выдвигают свои требования к национальным правительствам и международным организациям, влияющим на положений прошлых лет и во многом

представляет новый тип политического актора. Группы и объединения, составляющие его, имеют своеобразную организацию. Ими применяется сравнительно новая тактика социального действия. Движение выдвигает альтернативы современным формам общественного развития.

Для участников антиглобалистского движения актуален вопрос о выработке более или менее консолидированной конструктивной позиции. Объединению усилий общественных организаций в работе над альтернативными социально-экономическими проектами призвана служить практика социальных форумов. Центральным явлением в этой области стал Всемирный Социальный Форум (ВСФ).

**Ключевые слова:** глобализация, антиглобалисты, мировая политика и экономика.

**Рецензент:** профессор Важа Шубитидзе, Грузинский технический университет.

# ს ა მ ა რ თ ა ლ ი

## სოფიო დოლონაძე ეთნოკონფლიქტები თუ სეპარატიზმი: საქართველოს დანაწევრების მცდელობა

კონფლიქტი, მისი წარმოქმნა და განვითარება საზოგადოების თვალწინ ხდება. ეს მეორდება უხსოვარი დროიდან დღემდე. სამწუხაროდ, უამრავი ცდა განისაზღვროს თითქოსდა კონფლიქტის გარკვეული ნიშნები, მანკენებლები და მახასიათებლები ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის მისაღებ და ყველა მკვლევარისათვის ერთნაირად გასაზიარებელ შედეგს ჯერჯერობით ვერ იძლევა. მართლაც და რაა საერთო მოზარდთა ჩხუბის მილიონ შემთხვევას, შეყვარებულთა დავას, გაფიცვებსა თუ ომებს შორის? ამრიგად ჩვენს წინაშე დგას კითხვა რა არის კონფლიქტი?

მეცნიერული მიდგომების, გამოკვლევათა შედეგების, ვერსიებისა და განმარტებების სიმრავლე კი არ აადვილებს, უფრო ართულებს

არჩევანს. რამდენადაც ყოველი მეცნიერული ცნება, და განსაზღვრება „კონფლიქტი“ უნდა შეიცავდეს არა მარტო მოცულობებს ან მოცემულობებს, რომლებიც დაიტევენ ყველა მოვლენას, არამედ უნდა ასახავდეს მის აზრობრივ ნიშნებს, საქმის არსს.

კონფლიქტური ზემოქმედების უნივერსალობამ, ყოვლისმომცველმა ხასიათმა გამოიწვია იმის მცდელობა, რომ შექმნილიყო კონფლიქტის საერთო, ერთიანი თეორია. ეს თეორია მეცნიერთა ერთი ჯგუფის ჩანაფიქრით, მოწოდებულია ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის – ოჯახური, ეკოლოგიური, სამხედრო თუ სხვა ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციისათვის შემუშავოს საერთო პრინციპები და ქცევის წესები, რათა შესაძლებელი გახდეს სათანადო დახმარების აღმოჩენა კონფლიქტის განმუხტვის საქმეში. მაგალითად მათემატიკოსი კონფლიქტოლოგები, რომლებიც “კონფლიქტის საერთო თეორიაზე“ მუშაობენ თვლიან რომ, ის არის კონცეფცია, რომელიც მოიცავს ნეოსფეროს, ბიოსფეროს, ეკოსფეროს, ტექნოსფეროს, ცოცხალ და არაცოცხალ მატერიას.

როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით „ცოცხალ მატერიაში“ კონფლიქტებს განეკუთვნება არა მხოლოდ მგელსა და ბატკანს შორის ურთიერთობები, არამედ მზესუმზირათა ბრძოლა მზის ქვეშ ადგილის დასამკვიდრებლად, ხოლო კონფლიქტებს არაცოცხალ მატერიაში, მაგალითად წყლისა და ცეცხლის ურთიერთჭიდილი ოკეანის ფსკერზე ვულკანის ამოფრქვევისას. ამ შემთხვევებში ცნება „კონფლიქტი“ ძალიან გამორეცხილი, მისი შინაარსი კი უკიდევანო, უძირო და ყოვლისშთანთქმელი ხდება.

უფრო თავშეკავებულნი არიან საზოგადოებადმცოდნე მეცნიერები. ბოლო პერიოდში ბევრი მათგანი თვლის, რომ „კონფლიქტის საერთო თეორიის“ შემუშავება შესაძლებელია, რამდენადაც ნებისმიერი კონფლიქტი (პიროვნებათაშორისიდან – საერთაშორისომდე) ფართე გაგებით სოციალურია და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ადგილი აქვს ინტერესთა შეჯახებას კონფლიქტის ობიექტთან დაკავშირებით. ამასთან კონფლიქტის ობიექტი შეიძლება იყოს მატერიალური სამყაროსა თუ სოციალური რეალობის ნებისმიერი ელემენტი, რომელსაც ძალუძს იქცეს პირადული, ჯგუფური ან სახელმწიფოებრივი ინტერესის საგნად. იმისათვის, რომ გახდეს კონფლიქტის ობიექტი ეს ელემენტი უნდა იყოს სხვადასხვა სოციალური სუბექტების, (ცალკეული ადამიანების, სხვადასხვა პროფესიული, ნაციონალური, ასაკობრივი ან სხვა ნებისმიერი ჯგუფის, გაერთიანებების, ეროვნებათა ჩათვლით, სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისო კავშირების) ინტერესთა გადაკვეთაზე.

სოციალური კონფლიქტების ერთიანი თეორიის მომხრეები, როგორც წესი, საკმაოდ მაღალ დონეზე აფასებენ ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი ლ.კოზერის შეხედულებებს კონფლიქტებზე. მისი აზრით კონფლიქტი ეს არის ბრძოლა სტატუსის, რესურსებისა და სიძლიერის მოსაპოვებლად, როდესაც მოწინააღმდეგეთა მიზანს შეადგენს ერთის მიერ მეორის ნეიტრალიზაცია, მისთვის ზიანის მიყენება ან ერთმანეთის ჩამოშორება. ასეთი კონფლიქტების მაგალითები უამრავია, სათამაშოსათვის პატარების ჩხუბიდან დაწყებული, ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად წარმოებული მრავალწლიანი ომებით დამთავრებული.

მაგრამ, კონფლიქტის საერთო თეორიის მომხრეთა მცდელობა მისცენ კონფლიქტებს უნივერსალური განმარტება (თუნდაც სოციალურ კონფლიქტებს) არც ისე წარმატებულია, რამდენადაც კონფლიქტოლოგებს შორის გავრცელებულია სკეპტიკური დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ამასთან, „კონფლიქტების საერთო თეორიის“ არსებობისადმი კონფლიქტოლოგების სკეპტიციზმი, არანაირა არ გულისხმობს ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას, იმის თაობაზე, რომ კონფლიქტი არსებობს იქ, სადაც არის საზოგადოებრივი ცხოვრება.

თანამედროვე მეცნიერება სულ უფრო დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ერთადერთი ადგილი სადაც კონფლიქტები არ არის – სასაფლაოა. ისიც არა სასაფლაოზე, როგორც დაწესებულებაზეა ლაპარაკი, არამედ სასაფლაოზე, როგორც მარადიულ განსასვენებელზე. შეიძლება დამტკიცებულად მივიჩნიოთ, რომ სოციალური ჰარმონია და უკომფლიქტობა მიუღწეველია რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ როგორც არ უნდა განვმარტოთ კონფლიქტი, განვსაზღვროთ მისი ადგილი ჩვენს გარემომცველ სამყაროში, შესასწავლად ყველაზე რთული ის კონფლიქტებია, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს გააზრებული კონფლიქტებია, ე.ი. ის კონფლიქტები, რომლებიც გააზრებულნი და მიზანმიმართულია, დასახულია მიზანი და მისწრაფიან ამ მიზნის განსახორციელებლად.

მაგრამ, რეალური კონფლიქტების ანალიზისას ამ თეორიული დებულებების გამოყენების უკვე პირველსავე ცდებიდან ნათელი გახდა, რომ კონფლიქტები (თუნდაც ტიპური კონფლიქტები) სიტუაციური და უნიკალურია, დამტკიცდა ფუნდამენტალურ გარემოებათა გაუთვალისწინებლად მათი შესწავლის შეუძლებლობა. ობიექტი გამუდმებით ცდილობს იყოს თეორიის

არაადექვატური, გაურბის აგებულ თეორიას, შეაქვს მასში დაძაბულობა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტი ეს არის არა მარტო საიდუმლოებათა კონცენტრაცია, არამედ თვალთმაქცობათა ნაკრები. ის მუდამ ნიღბავს თავს, ცდილობს სხვაგვარად წარმოაჩინოს თავი, დაუძვრეს არა მარტო გარეშე მკვლევარებს, არამედ იმათაც ვინც მასში უშუალოდ მონაწილეობს. ამ თვალსაზრისით ის ჭადრაკს გვაგონებს, სადაც მეტოქისაგან მუდამ ელოდები უკეთეს სვლას ან კომბინაციას, რომელსაც არა მარტო მთამაშეები არამედ გულშემატკივრები და მაჟურებლები და ანალიტიკოსებიც შეჰყავს ჩიხში.

კონფლიქტების ამოხსნა დაიწყეს იმაზე ადრე, ვიდრე მეცნიერებმა დაადგინეს კონფლიქტის, როგორც კვლევის იდუმალი საგნის თავისებურება, მეტნაკლებად კარგად აკეთებენ და მომავალშიაც არანაკლები წარმატებით გააკეთებენ

ამასთან ერთად, კაცობრიობის მიერ დაგროვილი გამოცდი-ლება ამტკიცებს, კონფლიქტის საიდუმლოებებთან მიახლოების არა ერთი გზა და საშუალება არსებობს. ისინი შესწავლილია და გამოვლენილი მეცნიერების მიერ, ჩამოყალიბებულია, როგორც მეთოდოლოგიური მიდგომები-კონფლიქტის შესწავლის საშუალებები. გასაგებია, რომ მათი გაცნობა, შეძლებისდაგვარად კი ამ საშუალებათა დაუფლება საგრძნობლად ამაღლებს არა მარტო კონფლიქტის ბუნების გაგების შანსებს, არამედ იმას რომ ვიცოდეთ თუ როგორ მოვიქცეთ კონკრეტულ კონფლიქტთან დაკავშირებით, რათა ის წარმატებით დავძლიოთ.

საუკუნეთა განმავლობაში ადამიანები კონფლიქტების მიზეზებისა და ბუნების ახსნას ეძებდნენ და ეძებენ თავის და სხვის სიამაყეში, სიხარბეში, სიძულვილსა თუ სიყვარულში, ხელგაშლილობაში, სამართლიანობაში, ხშირად პათოლოგიაშიაც კი. ყოველივე ეს ნამდვილად შეიძლება, სურვილის შემთხვევაში, აღმოაჩინო არა მარტო ე.წ. ტიპურ კონფლიქტებში (როგორცაა დინასტიური კამათი, პოლიტიკური ან რელიგიური განხეთქილებები) არამედ სხვა სოციალური ხასიათის პროცესებსა და მოვლენებშიც, ასე მაგალითად: კორუფცია, დანაშაულის ზრდა და ა.შ. კონფლიქტების ასეთი გაგების მომხრეები სამართლიანად მიიჩნევენ თავისი მიდგომების სიცოცხლისუნარიანობასა და სისწორეს – ადამიანის ბუნება უცვლელია ათასწლეულთა მანძილზე.

ჩვენთვის უფრო მისაღებია, სოციალური კონფლიქტების მიზეზების ანალიზის არანაკლებ პოპულარული მიდგომა, რომლის ყერდნობა დიალექტიკის ტრადიციებს, იმის აუცილებლობას, რომ



გამოვლენილი უნდა იქნეს წინააღმდეგობები თვით მოვლენის არსში და ეს წინააღმდეგობები განვიხილოთ, როგორც საზოგადოების ცვლის მამოძრავებელი ძალა.

საზოგადოების ცხოვრება არ შედგება “ცოტ-ცოტა ყველაფრისგან“, მასში არის ურთიერთქმედებათა პრინციპულად დაუძლეველი სახეობები და ტიპები. ერთერთი ასეთთაგანია კონფლიქტი, რომელიც ჩვენ მიგვანჩნია დაპირისპირებად ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფებს, სახელმწიფოებს, თუ გაერთიანებათა შორის მათი შეუთავსებელი ინტერესების რეალიზაციის მიზნით.

მაშინაც კი, როდესაც კონფლიქტს აქვს წმინდა პოლიტიკური დაპირისპირებების ფორმა და მიმდინარეობს ამა თუ იმ რეგიონში საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მასში მონაწილე ჯგუფები ხშირად პოლიტიკურ მიზნებს არ ისახავენ. ხშირად ეს კლანური ან სხვა არაპოლიტიკური ინტერესებია, შენიღბული პოლიტიკური ბრძოლის ფორმებით.

პოლიტიკური კონფლიქტები, რომლებიც ბრძანება-დამორჩილების ურთიერთობების სისტემაში ურთულესი და მრავალსაფეხურებიანი დაპირისპირებებია, არა მარტო სოციალური, ან საზოგადოებრივი კონფლიქტების ერთერთი სახეობაა, არამედ „ჩაშენებულია“ მათ უმრავლესობაში. სოციალური კონფლიქტები მუდამდებია, როგორც პოლიტიკური კონფლიქტები, თუ ისინი გამოწვეულია ინტერესების დაპირისპირებებით, როგორცაა არის ძალაუფლების შენარჩუნება და გადანაწილება.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პოლიტიკური კონფლიქტები თავის წარმოშობას უნდა უმადლოდნენ არა ხელისუფლების მოპოვებისა და განმტკიცების, ცვლილების უშუალო პრობლემას, არამედ, პოლიტიკურ ურთიერთობებში ნებისმიერი ინტერესების შეჯახებას. ამასთან, პოლიტიკური კონფლიქტები არ გამორიცხავენ მათი მონაწილეების თანამშრომლობას. ვფიქრობთ, ეს თეზისი უმნიშვნელოვანესია კონფლიქტების დარეგულირების საქმეში.

პოლიტიკური კონფლიქტი ეს არის დაპირისპირებულ ძალთა, შეხედულებათა შეჯახება, რომელიც განპირობებულია სახელმწიფოსა და კლასების, სოციალური და ეთნიკური ჯგუფების, პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების, ცალკეული ადამიანების პოლიტიკური ინტერესებითა და მიზნებით. საბოლოო ჯამში ეს განპირობებულია ადამიანების გონებით, რომელშიაც აისახება ინტერესებისა და საზოგადოებრივი ღირებულებების შეუთავსებლობა.

ყველაზე რთულ და ძნელადგადასაწყვეტ კონფლიქტებად მიიჩნევა ეთნოსოციალური (ეროვნებათაშორისი) კონფლიქტები. ეს

არის ჯგუფთაშორისი კონფლიქტების ფორმა, რომელშიაც ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების ჯგუფები განსხვავდებიან ეთნიკური (ეროვნული) ნიშნით. ყოველდღიურ პრაქტიკაში ეროვნებათაშორისი ურთიერთობების, სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის ეფექტიანობის ან არაეფექტიანობის განხილვისას მხედველობაში აქვთ გარკვეული ეროვნებები. ამასთან, სხვადასხვა მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები განსაკუთრებით არ გამოიყოფა, თუმცა მათი რაოდენობა ქვეყანაში არც თუ ისე უმნიშვნელოა. ამასთან, კონფლიქტებთან მიმართებაში უფრო ზუსტი იქნება გამოვიყენოთ ტერმინი ეთნოსი – ხალხი, ტომი, ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ერთ ენაზე ლაპარაკობენ, აღიარებენ ერთიან წარმომობას, აქვთ თავიანთი ადათ-წესები, ცხოვრების ყაიდა, რაც მათ სხვა ხალხისაგან გამოარჩევს. ერი კი არის ადამიანების სოციალურ-ისტორიული, სახელმწიფოს მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ერთიანობა, რომელსაც გააჩნია ერთიანი ტერიტორია და ენა. სახელმწიფოს ეთნიკური პოლიტიკა მოწოდებულია დაარეგულიროს სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობები იმისათვის, რომ შეათანხმოს სხვადასხვა ეთნიკური და ეროვნული ჯგუფის ინტერესები, მათი რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების მიზნით.

უნდა მივიჩნიოთ, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეში ეროვნებათაშორისი დაძაბულობისა და ეთნოსოციალური კონფლიქტების მიზეზები უნდა ვეძიოთ საბჭოთა კავშირის ყველა სახელისუფლო სტრუქტურის მოშლასა და კორუმპირებული ჯგუფების მიერ ეროვნული ინტერესების გამოყენებაში, სოციალური უკმაყოფილების ერთაშორისი ურთიერთობების ჭრილში გადაყვანაში. არ შეიძლება აქვე არ შევნიშნოთ ხელოვნურად გადავიკებულ რელიგიური შუღლის როლი ადამიანების დაპირისპირების საქმეში.

ასეთი კონფლიქტებისათვის დამახასიათებელია მოქმედების გარკვეული დონის ორგანიზებულობა მასობრივ არეულობასთან, სეპარატისტულ გამოსვლებთან ერთად, რაც ხშირ შემთხვევაში სამოქალაქო ომში გადაიზარდა. იმდენად, რამდენადაც შიდა კონფლიქტები წარმოიშვა მრავალეროვან სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოში, მათ უცილობრივ პოლიტიკური ხასიათი მიიღეს. ამიტომ ხშირად ძნელია ზღვარი გაავლო სოციალურ, პოლიტიკურ და ეთნოკონფლიქტებს შორის.

ეთნოკონფლიქტი შეიძლება გამოხატულ იქნეს სხვადასხვა ფორმით, დაწყებული პიროვნულ ურთიერთობებში დისკრიმინაციის მიუღებლობიდან, ქვეყნიდან გამოყოფისათვის მასობრივი

გამოსვლებით, შეიარაღებული დაპირისპირებებით და ეროვნულ-განმანათავისუფლებელი ომით დამთავრებული. ასე ვითარდებოდა მოვლენები მთიან ყარაბაღში, ჩეჩნეთში, მოლდოვაში და საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ. ის რაც საბჭოთა იმპერიის ხიშტს ეჭირა და ერთაშიორის მეგობრობად და ერთიანობად ინათლებოდა, ერთბაშად ჩამოიშალა, გამწვავდა და თავი იჩინა. სეპარატისტულად განწყობილ ადამიანებს გასაქანი მიეცათ, ამოქმედდა დიდი ხნის წინ ჩადებული საბჭოთა ნაღმები.

ნებისმიერ საზოგადოებაში სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტი გარკვეულ ფუნქციას ასრულებს. მას ძალუძს ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებაში ძალთა თანაფარდობის ფორმირების საქმეში, თუმცა ეს თანაფარდობა აუცილებლად დროებითია. მას შეუძლია ხელი შეუწყოს ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების გამოვლენას, არსებული საზოგადოებრივი ნორმებისა და ღირებულებების გადაფასებას, ასევე გამოავლინოს ძალთა დისბალანსი და საზოგადოებაში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. ამის გათვალისწინებით დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელია ეფექტიანი მექანიზმების ძიება, რომლებსაც ძალა შესწევთ თავიდან აგვაცილოს კონფლიქტების დამანგრეველ დესტრუქციულ მოვლენებში გადაზრდა, რასაც გაუთვალისწინებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

1986 წლამდე საბჭოთა კავშირში ეროვნებათაშორის კონფლიქტებზე საჯაროდ ვერაფერს საუბრობდა. ითვლებოდა, რომ ეროვნული საკითხი გადაჭრილი იყო სამუდამოდ. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში მსხვილ კონფლიქტებს ნამდვილად არ ჰქონდა ადგილი. ყოფით ნიადაგზე არსებობდა გარკვეული ეროვნული სიმპათიები და ანტიპათიები, ასევე ამ ნიადაგზე ხდებოდა ხოლმე დანაშაული, მაგრამ ეს არასდროს არ აღირიცხებოდა და არ განიხილებოდა ეროვნებათაშორის შუღლად.

კანონმდებლობა, მართალია მკაცრად ეკიდებოდა ეროვნებათაშორისი შუღლის გადავივების პრობლემას, ეს ქმედება სისხლის სამართლის დევნას იწვევდა, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში, კანონი ძირითადად ქალაქებში რჩებოდა და რეალურად ვერ ასრულებდა იმ ფუნქციას, რასაც მას კანონმდებელი უსაზღვრავდა.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სხვადასხვა ერებისა და ეროვნებების ადამიანების ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრებას, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური

და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“ (მუხლი 14).

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ყველა ადამიანის უპირობო უფლებას იცხოვროს თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ეროვნული ან რასობრივი კუთვნილების ნიშნით: „საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.“ (მუხლი 38). ამასთან კონსტიტუცია აცხადებს, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით, რომელიც ჩატარდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით და არავის არ აქვს უფლება დაარღვიოს მისი მთლიანობა. შესაბამისად კონფლიქტები გადავივებული ეთნიკურ ან ეროვნულ ნიადაგზე, ასევე საქართველოს დანაწევრება სეპარატისტული ქმედებებით, კანონსაწინააღმდეგოა და დასჯად ქმედებად მიიჩნევა.

სამწუხაროდ, რეალურ ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ეს კანონმდებლის მიერ არის აღიარებული და დადგენილი. სეპარატისტულად განწყობილი დაჯგუფებებისა და გარე ძალების დესტრუქციული ქმედებების შედეგად შესაძლებელი გახდა ერთმანეთს დაპირისპირებოდა საქართველოს ძირძველი მოსახლეობის ერთი ნაწილი და ამ ნიადაგზე აღმოცენდა ორი კონფლიქტური რეგიონი – აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი. თუ თვალს გადავაგვლებთ კონფლიქტის განვითარების ისტორიას ნათლად დავინახავთ, რომ ისინი თანდათანობით დვივდებოდა და მათი გადაწყვეტის პრესპექტივები რეალურ დროს მნიშვნელოვნად ცილდებოდა.

ქართულ-ოსური ურთიერთობების გამწვავება გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო. მას მძლავრი ბიძგი მისცა სსრკ-ში 1985 წელს დაწყებულმა გარდაქმნის პროცესმა, რომელმაც ამოატივტივა ორივე ხალხის ადრეული საბჭოური პისტორია და რუსეთის იმპერიის ნგრევის დროინდელი

დაპირისპირება. საქართველოში ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების კვალდაკვალ აფხაზეთს ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გააქტიურდნენ აფხაზური და ოსური სეპარატისტულ ძალები.

სამხრეთ ოსეთის აო-ში კონფლიქტი ჩამოყალიბდა პოლიტიკური, ეკონომიკური, კრიმინალური და ეთნო-ნაციონალური დაპირისპირებებათა შემადგენელი ნაწილებით. მან თავისი გამოვლენა კპოვა ცხინვალისა და თბილისის “კანონთა ომში”, ასევე, ოსური და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიდერთა და პუბლიცისტთა დისკუსიებში, და ბოლოს, ქართული და ოსური შეიარაღებული ფორმირებების დაპირისპირებაში.

ასეთი ნაბიჯების სამართლებრივი შეფასება ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა სეპარატისტების სასარგებლო, რამდენადაც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიალური მთლიანობის დარღვევა იყო და საქართველოს პარლამენტი არასოდეს არ წავიდოდა ამ გზით. სხვა შემთხვევაში ასეთ გადაწყვეტილებებს იურიდიული ძალა ვერ ექნებოდა. საქართველოდან ამ ძირძველი ნაწილის მოწყვეტის ინიციატორებსა და მათ მხარდამჭერებს (როგორც ეს 2008 წელს ნათლად დამტკიცდა) რუსეთის ფედერაციას რასაკვირველია კარგად ჰქონდათ ეს წარმოდგენილი, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილებებით ცდილობდნენ დაძაბულობა და განხეთქილება შეეტანათ დასუსტებული და ჯერ კიდევ ჩამოყალიბებულ ქვეყნაში.

სამწუხაროდ საქართველომ თავიდან ვერ აიცილა სისხლიანი დაპირისპირება ვერც ყოფილ სამხრეთ ოსეთში და მოგვიანებით ფართომასშტაბიანი ომი აფხაზეთში (საქართველო).

განსაკუთრებულია კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი, რომელიც ცალკე განხილვის საგანი იქნება დისერტაციაში. გაეროს დოკუმენტები კონფლიქტის წარმოშობისა და მიმდინარეობის, მისი სტაგნაციის (გაყინვის) პროცესში გადაზღვის სამართლებრივი შეფასებისათვის განსაკუთრებულად ღირებულია.

ვრცელია იმ დოკუმენტთა ჩამონათვალი, რომლებიც მიღებულ იქნა საკანონმდებლო ორგანოებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაეროს მიერ საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების საკითხებთან დაკავშირებით.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტები პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და ისინი ინიცირებულია გარეშე ძალების, უმთავრესად, რამდენადაც

პარადოქსალურად არ უნდა ურერდეს, შუამავალის რუსეთის ფედერაციის მიერ. აღნიშნული კონფლიქტები სხვა არაფერია თუ არა სეპარატისტული მოქმედება გარკვეული პოლიტიკური, ფსევდოეროვნული ძალების მხრიდან.

კონფლიქტის მიმდინარეობის პერიოდში ამ პროცესებს არა ერთხელ მიეცა სათანადო სამართლებრივი შეფასება და ზოგადი სახით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სეპარატისტა მოქმედებას არანაირი იურიდიული საფუძველი არ გააჩნია. ეს ქმედებები უხეშად არღვევენ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლის აღიარებულ ნორმებს. რამდენად შეიცავს ცალკეული პირის მოქმედება სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველს, ეს ზოგ შემთხვევაში დადგენილია, ზოგიერთ შემთხვევაში კი დადგენილი იქნება კომპეტენტური ორგანოების მიერ.

საქართველოს ხელისუფლება, ხალხი, ჭეშმარიტი პატრიოტები აფხაზეთიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთიდან არასოდეს არ შეეგუებიან საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისა და სუვერენიტეტის დარღვევას.

მსოფლიოს საერთაშორისო თანამეგობრობის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი, და აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს ერთიანობას. მათი მიდგომები ამ თვალსაზრისით უკომპრომისო და ცალსახაა: საქართველო არის ერთიანი, განუყოფელი სახელმწიფო სადაც რეგიონებისა და ცენტრის ურთიერთობები ცივილიზებულად რეგულირდება მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპის კონტინენტზე არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით.

სამწუხაროდ, საქართველოში არსებული გაყინული კონფლიქტები 2008 წლის აგვისტოში გააქტიურდა და მძიმე შედეგებამდე მივიდა. თითქოსდა გადაწყდა ყველაფერი, ქვეყანა დაიშალა და ერთი სახელმწიფოს ადგილზე 3 ჩამოყალიბდა. ასე სურს იფიქროს სეპარატისტებსა და მათ მხარდამჭერებს, მაგრამ ასე არ ფიქრობს საერთაშორისო თანამეგობრობა, მიუხედავად რუსეთის ფედერაციის დიდი მცდელობისა “დამოუკიდებელმა“ სახელმწიფოებმა ვერ მოიპოვეს სასურველი აღიარება სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობის მხრიდან. მართალია ცეცხლი შეწყვეტილია და ღია დაპირისპირება არ აღინიშნება, მაგრამ კონფლიქტი არ ამოწურულა ის გადასულია ახალ ფაზაში და თავის გადაწყვეტას ელოდება.

## ლიტერატურა

### References:

1. saqarTvelos konstitucia, Tbilisi, „bona kauza“, 2011.
2. saqarTvelos erovnuli usafrTxoebis koncefcia. ([www.gov.ge](http://www.gov.ge))
3. msolfio qveynebis konstituciebi. Tbilisi, 2005
4. saerTaSoriso urTierTobebis Teoria. qrestomaTia. samoqalaqo iniciativebis institutis gamomcemloba, 2004, -495 gverdi.
5. buli h., anarqili sazogadoeba: wesrigis sakiTxi msolfio politikaSi. gam. „ diogene“, Tbilisi, 2003. – 350 gverdi.
6. kekelia j., saqarTvelos teritoria da sazRvrebi. Tb; 1996.
7. WavWavaZe i., Txz., 10 tomad. p. ingoroyvas redaqqiT.
8. doRonaZe S., saqarTvelo: gza saerTaSoriso aRiarebidan saerTaSoriso Tanamegobrobisaken, Tbilisi, „cis nami“, 2002.
9. rondeli a., patara qveyana saerTaSoriso sistemaSi, Tb., mecniereba 2003.
10. sandole denis. “paradigmebi, Teoriebi da metaforebi konfliqtsa da konfliqtis mogvarebaSi: SeTanxmeba Tu dabneuloba”, “dro mSvidobisa”. №3, 2001 weli.
11. Jvania z. Cveni Taobis privilegia:[leqciebis kursi]/zurab Jvania; [sared. jg.: jumber TiTmeria da sxv.; zurab Jvancias saxel. saq. saz. saqmeTa in-ti (GIPA)]. – [me-2 gamoc.]. – [Tb.] : saari, 2006.
12. jorbenaZe r. politikuri konfliqtების მართვა. Tbilisi, mecniereba, 2001.
13. qoCoraZe o., geopolitikis safuZvlebi. Tbilisis Tavisufali universitetis ESM ბიზნის სკოლა. NPG gamomcemloba. 2009, - 465 გვერდი.
14. Pugachov V.P. Politologia. M., 1999
15. Rodie B. War and Politics. N.Y. 1973

## **Sopio Dogonadze**

### **Ethnic conflict or separatism: an attempt to partition Georgia**

#### **Summary**

This article discusses main reasons behind the onset and the escalation of conflicts in Georgia.

According to modern science, the conflict is a concentration of seccies but also the combination of dissimulations.

Attempts to solve conflicts were made even before the scientists ascertained its feature as the secret object of the research; these attempts were more or less successful in the past as they are today and will be in the future.

As the life experience suggests, there are many ways to disclose the secrecy that is characteristic to the conflict. These have been explored by the scientists and formed as the methodological approaches – the conflict research opportunities.

An inter-ethnic conflict with serious political repercussions is the most difficult type of conflict to solve.

In the post-Soviet space, the ethno-social conflicts are largely due to the corrosive country systems which are prone to corruption and give rise to social discontents both nationally and internationally. Racial and religious hatred that is often roused artificially plays no less significant role in the tensions between different groups of societies.

Therefore, the conflicts in Georgia which are in the so called “frozen phase” are very difficult to solve. Most importantly, imperial ambitions and the destructive behavior of the Russian Federation which is not directed towards the prosperity of either side of the conflicts in Georgia is a major obstacle to the solution of existing problems.

It is necessary to mobilize international community and make the sides of the conflicts to act reasonably in order to restore century-old friendship between the fraternal nations. The personal development and prosperity of every Georgian citizen should be the main objective of the government within the unified state.

**Keywords:** conflict; knowledge of life; methodological approaches; post-Soviet space; inter-ethnic tension; ethno-social conflicts; corruption; artificially roused religious hatred.

**Reviewer:** Professor Zviad Gabisinia, Georgian Technical University

## Софи Догонадзе

### Этноконфликты или сепаратизм: попытка расчленения Грузии

#### Резюме

В статье рассмотрены вопросы возникновения и течения конфликтов в Грузии.

Современная наука утверждает, что, конфликты это не только концентрация тайн, но и набор лукавства. Разгадку конфликтов начали задолго, до того, когда ученые установили особенности исследуемого предмета. Они в определенной степени успешно справляются с этой задачей.

Вместе с тем, накопленный человечеством опыт подтверждает, что для приближения к тайнам конфликта существует не одна дорога, их множество. Они исследованы и изучены учеными, формированы как методологические подходы – возможности изучения конфликтов.

Из политических конфликтов наиболее трудно решаемых принято считать этносоциальные (межнациональные) конфликты. В бывших Советских республиках, в целом постсоветском пространстве, причины



межнационального напряжения и этносоциальных конфликтов следует искать в разрушении всех государственных структур Советского союза, и использовании коррумпированными группами националистических интересов, в переводе социального недовольства в разрез межнациональных отношений. Здесь же следует отметить и о роли искусственно разжигаемой религиозной распри в противостоянии людей.

Так, конфликты в Грузии, которые квалифицируются как «Замороженные конфликты» трудно решаемые. Урегулированию конфликтов мешает деструктивные действия Российской Федерации, эти действия не направлены во благо участников противостояния, а выражают имперские амбиции большого государства.

Необходимо активизация международного сообщества, разумные действия сторон конфликта, с целью восстановления вековых взаимоотношения братских народов, чтобы в едином неделимом государства развивался каждый человек, максимально удовлетворить потребности каждого гражданина, живущегося в Грузии.

**Ключевые слова:** Этноконфликты, сепаратизм, расчленение Грузии, политический конфликт, этносоциальные (межнациональные) конфликты, бывшие Советские республики, постсоветское пространство, разжигание религиозной распри, конфликты в Грузии, «Замороженные конфликты», действия Российской Федерации, международное сообщество.

**Рецензент:** профессор Звиад Габисонია, Грузинский технический университет.

### ბიორბი მუზარამი

#### ოცნებები დაპატიმრების თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებების ინტერპრეტირების სამართლებრივი საფუძვლები

სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო შეთანხმების დადებისას მნიშვნელოვანი საკითხია შეთანხმების სამართლებრივი ინტერპრეტირება, მიმართება შიდა კანონმდებლობასთან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შეთანხმებებთან მიმართებაში, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნესის დინამიურ სფეროსთან და არსებულ კოდექსებთან ერთად არეგულირებენ ეკონომიკური საქმიანობის დაბეგვის საკითხებს. ამგავრი სახის შეთანხმებები უშუალოდ უკავშირდება შიდასახელმწიფოებრივ საგადასახადო კოდექსს და შესაბამისად მნიშვნელოვანია მათი მუხლების ურთიერშეთანწეობა და ინტერპრეტირება;

საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკაში, ქვეყნებს შორის ხდება სხვადასხვა სახის საგადასახადო შეთანხმებების

რატიფიცირება, მათგან ჩვენთვის კვლევის ობიექტია „შეთანხმება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ”.

### საერთაშორისო შეთანხმება და შიდა კანონმდებლობა

ჩვეულებრივ, ორ ქვეყანას შორის საგადასახადო შეთანხმების გაფორმება საჭიროებს შესაბამის ცვლილებებს შიდა კანონმდებლობაში, რათა გამოირიცხოს შესაძლო საკანონმდებლო წინააღმდეგობები, რაც საბოლოო ჯამში გამიზნულია საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობების მთავარი მიზნის მისაღწევად – ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა ინვესტიციათა ხელშეწყობის მიზნით. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულება უნდა ეფუძნებოდეს და გამომდინარეობდეს ქვეყნის სამართლებრივი სისტემიდან, იყოს ინტეგრირებული მასში. ამგვარი ხელშეკრულებების საერთო სამართლებრივი საფუძველი არის „საერთაშორისო სამართალი”, გამომდინარე იქიდან რომ ეს ხელშეკრულებები ატარებენ საერთაშორისო ხასიათს. ასევე, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ინტერპრეტაციები უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო საჯარო სამართლისა და შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების წესებსა და პრინციპებს.

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულების, როგორც საერთაშორისო შეთანხმების, სტატუსი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაა შიდა კანონმდებლობასთან მიმართებაში[1]:

1. ზოგიერთ ქვეყანაში ეროვნული კანონმდებლობა საერთაშორისო ხელშეკრულებას აცხადებს ამ ქვეყნის სამართლის ნაწილად (საფრანგეთი, პოლანდია, შვეიცარია და სხვა.)

2. სახელმწიფოების მთელ ჯგუფის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებენ საერთაშორისო სამართალს საშინაო სამართლისაგან (ინგლისი, კანადა)

3. ზოგიერთი ქვეყანა აღიარებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპების პრიორიტეტს ეროვნულ სამართალზე (გერმანია, იტალია, საბერძნეთი, საფრანგეთი).

სახელმწიფოები დამოუკიდებელი არიან, დაადგინონ საერთაშორისო ხელშეკრულების ადგილი შიდასახელმწიფოებრივ ნორმათა იერარქიაში[2]. თუმცა სახელმწიფოთა შიდა სამართლებრივი სისტემები სულ უფრო მეტად განიცდიან საერთაშორისო სამართლის ზეგავლენას. თანამედროვე

საერთაშორისო სამართალი სულ უფრო და უფრო იჭრება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეების ოდესღაც განსაკუთრებული სფეროს კომპეტენციაში[3]. სახელმწიფოთა აღნიშნული მიდგომებიდან გამომდინარე, საჭიროა საერთაშორისო ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებმა გაითვალისწინონ ხელშეკრულს სახელმწიფოში საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსი.

საქართველოში საერთაშორისო შეთანხმება სამართლის მნიშვნელოვანი წყაროა და ეროვნულ სამართალთან შედარებით პრიორიტეტი გააჩნია. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მიხედვით[4]- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. კონსტიტუციის აღნიშნული დებულების შესაბამისად საქართველოს კანონში-საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ[5]- მე- 6 მუხლით:

1. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია.

2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

3. ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ.

იგივე მიდგომა დაფიქსირებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსში[6], კერძოდ მუხლი 2.1 და 2.7-ის მიხედვით საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულება ცხადდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ნაწილად, ხოლო საგადასახადო კოდექსის დებულებებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილ ნორმებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები.

საქართველოში დამკვიდრებული მიდგომა, როგორც ზემოთ ვნახეთ, შეესაბამება ცალკეულ ქვეყნებში არსებულ პრაქტიკას,

მაგრამ ამ მიგომის გამოყენებისას ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებთან მიმართებაში თავს იჩენს სირთულეები.

ორ ქვეყანას შორის რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმება გამოიყენება ორივე ხელშეკრული სახელმწიფოს საგადასახადო ორგანოებისა და მეწარმე სუბიექტების მიერ. შეთანხმების საწყის მუხლებში (მუხლები 3,4,5) განმარტებულია ძირითადი ტერმინები, მაგრამ მიუხედავად ამისა ხშირად ხდება ორივე მხარის მიერ სხვა დანარჩენი ტერმინების და მუხლების განსხვავებული ინტერპრეტაცია, რაც საბოლოოდ ხელს უშლის ამ შეთანხმების მიზნების მიღწევას.

საქართველო ისევე როგორც მსოფლიოს სხვა მრავალი ქვეყანა, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების დადებისას დაეუბნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ სტანდარტული ხელშეკრულების მოდელს; მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის ამ ორგანიზაციის წევრი და შესაბამისად ხელშეკრულების მოდელის შედგენაში მონაწილეობა არ მიუღია; ამავე ორგანიზაციამ, შეთანხმებების ეფექტიანობის გაზრდისათვის გამოაქვეყნა კომენტარები, მაგრამ ეს კომენტარები სავალდებულო არ არის ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებისათვის (ორგანიზაციის წევრი თუ არაწევრი ქვეყნებისათვის); აქედან გამომდინარე, არ არსებობს ოფიციალურად დადგენილი განმარტებები ხელშეკრულების ცალკეული მუხლების თაობაზე. მაგალითად, საპროცენტო შემოსავლის/ხარჯების ცნებაში ერთ ქვეყანაში შეიძლება ერთიანდებოდეს სხვა სახის შემოსავლებიც და იბეგრებოდეს, ხოლო მეორე ქვეყანაში გეკონდეს განსხვავებული მდგომარეობა, რაც საბოლოოდ დაბეგვრის გამჭირვალობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ასეთ ვითარებაში ინტერპრეტაციის როგორი მიდგომით უნდა ისარგებლონ სახელმწიფოებმა? რათა მათი მიდგომა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და მიდგომებს?

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებები არიან საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის მიზნების შესაბამისად ძალაში შედის ორივე ხელშეკრული სახელმწიფოს თანხმობის შედეგად. ეს ხელშეკრულებები ეფუძნებიან ვენის<sup>[7]</sup> სახელშეკრულებო სამართლის კონვენციას, რომელიც უმეტესი ნაწილით აყალიბებს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის ნორმებს. ამასთან, რადგან საგადასახადო შეთანხმებები გამოიყენება ეროვნული კომპეტენტური ორგანოების მიერ, ეს საჭიროებს თითოეული

ქვეყნის მიერ მის რატიფიცირებას. გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებმა შეიძლება შეზღუდოს ამ ხელშეკრულების მოქმედების არეალი ან გახადოს იგი შიდა გამოყენების, მაგრამ ის ნაწილი, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულების საერთაშორისო ასპექტებთან ამგვარი კანონქვემდებარე აქტების ზეგავლენას არ განიცდის. ცალკეულ დებულებებს შიდა კანონმდებლობასთან შედარებით აქვს უპირატესი ძალა. ვენის კონვენციის 27-ე მუხლის მიხედვით საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილეს არ შეუძლია მიუთითოს თავისი საშინაო სამართლის დებულებებს მის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამართლებისათვის.

ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის მოდელისაგან განსხვავებით აშშ-ს სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების პირველი მუხლი (ზოგადი საზღვრები) განსაზღვრავს სუბორდინაციას ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებასა და ეროვნულ კანონმდებლობას შორის. კერძოდ, იგი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებას განიხილავს შიდა კანონმდებლობის ობიექტად, მუხლი 1(2)-ში აღნიშნულია[8]:

ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება არ უნდა იყოს შეზღუდული რაიმე გზით ან რაიმეს მეშვეობით: რომელიმე ხელშემკვერი სახელმწიფოს კანონებით ან ხელშემკვერელ სახელმწიფოებს შორის რაიმე სხვა შეთანხმებით. მუხლი 1(3) აზუსტებს შემთხვევებს, როცა ხდება ზემოთა დებულებიდან გადახვევა მხოლოდ სახელმწიფოთა შორის ორმხრივი შეთანხმების პროცედურით.

შესაბამისად, ვენის კონვენციის მიხედვით, ქვეყნები რომლებიც ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებას დადებენ ეთგოს მოდელზე დაყრდნობით აღიარებენ ამ ხელშეკრულების პრიორიტეტულობას თავის საშინაო სამართალზე.

### **ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებების ინტერპრეტირების სამართლებრივი ასპექტები**

ჩვეულებრივ, შიდა კანონმდებლობის ტერმინების ინტერპრეტირება ეყრდნობა თვით ამავე კანონში მოცემულ განმარტებებს და ამა თუ იმ მუხლიდან გამომდინარე კონტექსტუალურ ინტერპრეტირებას. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებებს ამ მხრივ გააჩნიათ რიგი თავისებურებები:

➤ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებაში მონაწილეობს ორი ქვეყანა (ასევე არსებობს, მრავალმხრივი საგადასახადო შეთანხმე-

ბები), შესაბამისად ტერმინთა განმარტებისას ორივე სახელმწიფოს მიერ მოცემული განმარტებები უნდა იქნეს გათვალისწინებულ

➤ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება მოიცავს ურთიერთობათა უფრო ფართო სფეროს, ვიდრე შიდა კანონმდებლობა. ხელშეკრულებები ფუნქციონირებენ ორ დონეზე. პირველი, ისინი არიან შეთანხმებები ორ სახელმწიფოს შორის (დაბეგვრის უფლების განაწილების შესახებ) და მეორე ისინი გამოიყენება გადასახადის სუბიექტების მიერ საკუთარ მთავრობასთან(ეროვნულ საგადასახადო ორგანოებთან) კონფლიქტის დროს.

➤ ხშირად, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებში გამოიყენება ისეთი ტერმინები, რაც იშვიათად გვხვდება ქვეყნების შიდა კანონმდებლობაში. მაგ. ტერმინი „საწარმო“ ხშირად გამოიყენება ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებში, მაგრამ არ გვხვდება ზოგიერთი ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში. (განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ჩვეულებრივი(ტრადიციული) სამართლის სისტემებია)

➤ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები არ აწესებენ გადასახადებს პირებზე. ისინი აწესებენ გადასახადებისაგან გათავისუფლებას.

➤ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ინტერპრეტირება უმეტესწილად ხდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კომენტარებზე დაყრდნობით, როლებიც არ არის ქვეყნის შიგა საკანონმდებლო კომენტარების ანალოგი.

ვენის კონვენციის მე-3 ნაწილი (მუხლი 31 და 32) ეხება ხელშეკრულებების ინტერპრეტაციას. ასევე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელის დამატებითი მუხლი 3(2) ეხება ტერმინთა განმარტებებს.

ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ინტერპრეტაცია, სხვა კონვენციების მსგავსად, ეფუძნება საერთაშორისო სამართლის წესებს ვენის კონვენციის მიხედვით. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები არიან საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც ვენის კონვენციის ძირითად დებულებებზე დაყრდნობით უნდა განიმარტოს. განსაკუთრებით, ეს ეხება იმ ქვეყნებს, რომლებიც არიან ვენის კონვენციის ხელმომწერები. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ვენის კონვენცია ეხება იმ ქვეყნების ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ინტერპრეტირებას, რომლებიც არიან ვენის კონვენციის ხელმომწერები მხარეები.

მაგრამ მნიშვნელოვანია, თუ როგორი მიდგმა უნდა გამოიყენონ იმ ქვეყნებმა რომლებიც არ არიან ვენის კონვენციის

ხელმომწერები? რა პრინციპებს უნდა დაყრდნონ ეს ქვეყნები ხელშეკრულების ინტერპრეტირებას? რადგან ვენის კონვენციის 31-ე მუხლი და 32-ე მუხლი ასახავს კონვენციების ინტერპრეტირების აღიარებულ საერთაშორისო პრინციპებს, ქვეყნები უნდა დაყრდნონ (ან უმჯობესია დაყრდნონ) საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. ვენის კონვენცია მოიცავს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ინტერპრეტირებას მიუხედავად იმისა, რომ ერთი ან ორივე ხელშემკვრელი მხარეები არ არიან კონვენციის ხელმომწერები ან ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება დადებულია ვენის კონვენციამდე ადრე, 1969 წლამდე.

აქედან გამომდინარე ქვეყნის შიდა კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს იმ ფაქტს, რომ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება - მისი რატიფიცირება და მათი ინტერპრეტირება არის საგანი საერთაშორისო კონვენციების. საბაზისო ინტერპრეტაციების მუხლი არის ვენის კონვენციის 31-ე მუხლი.

ვენის კონვენციიდან ჩვენთვის საინტერესოა მუხლები 31(4) და მუხლი 32. 31-ე მუხლის მიხედვით ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება „განმარტებულ უნდა იყოს ტერმინების ჩვეულებრივი გაგების შესაბამისად; კონტექტის შესაბამისად, მისი ობიექტისა და მიზნების მიხედვით.“

ეთვოს მოდელის 3(2) მუხლი განმარტავს-თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებაში მოცემული ტერმინები; მაგრამ ეს მუხლი არ ახსენებს ვენის კონვენციას; მუხლი 3.2 ის მიხედვით[9]:

„ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ამ შეთანხმების გამოყენების დროს ნებისმიერ ტერმინს, რომელიც არ არის მასში განსაზღვრული, ექნება ის მნიშვნელობა, რაც მას ენიჭება ამ დროს ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით იმ გადასახადების მიმართ, რომლებზეც ვრცელდება ეს შეთანხმება, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ხელშემკვრელი სახელმწიფოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ტერმინების განსაზღვრებებს უპირატესობა ენიჭებათ იმ განსაზღვრებებთან მიმართებაში, რომლებიც მათ გააჩნიათ ამ სახელმწიფოს სხვა კანონებით“.

ე.ი თუ ტერმინი არა არის განმარტებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებაში ჩვენ ვეყრდნობით შიდა სამართალს (პრეცედენტული, ჩვეულებრივი, რომელიც არის ქვეყანაში). მნიშვნელობა, რომელსაც ქვეყნის შიდა კანონმდებლობა გეთავაზობს, უშვებს სხვა ქვეყნის მიერ იგივე ტერმინის სხვაგვარ განმარტებას. ამასთან, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების მიზნების შესაბამისად

უპირატესობა საგადასახადო კოდექსებში მოცემულ განმარტებებს ენიჭება. (მიუხედავად ამისა ზოგიერთი ქვეყანა თავიანთ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებაში არ აფიქსირებს შიდა კანონმდებლობასთან მიმართებას-მაგ: რუსეთსა და უნგრეთს შორის შეთანხმება).<sup>[10]</sup>

ცვლადი ქვეყნები თანხმდებიან ურთიერთშორის თუ როგორ მოხდეს მათი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ინტერპრეტირება ვენის კონვენციის და ეთგოს მდელის 3(2) მუხლებთან მიმართებაში; მაგ: აშშ-ს და ავსტრია შევიდნენ ურთიერთგაგების მემორანდუმში 1996-ში, რაც მოყვა ავსტრალია აშშ-ს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებას. მემორანდუმში საშუალებას იძლევა მიმართონ ეთგოს კომენტარებს, ცალკელი გამოხატვისების დაშვებით.

როგორც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარებისა ორგანიზაციის სტანდარტული ხელშეკრულების 3.2 მუხლშია აღნიშნული ტერმინები, რომლებიც არ არის უშუალოდ ხელშეკრულებაში განმარტებული ექნება ის მნიშვნელობა, რაც აქვს მას ამ დროს, ამავე სახელმწიფოს კანონმდებლობით.

მაგრამ მნიშვნელოვანია თუ რომელი ინტერპრეტაცია უნდა იქნეს მიღებული - ის რაც ჰქონდა ტერმინს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების დადებისას თუ მიმდინარე მნიშვნელობა, როცა ხდება მუხლის პრაქტიკული გამოყენება.

ეთგოს ფისკალურ საკითხთა კომიტეტის მიხედვით უმჯობესია გამოყენებულ იქნას მიმდინარე ინტერპრეტაცია. მიმდინარე ინტერპრეტაციის მიდგომის დადებითი მხარეა ის, რომ ამ შემთხვევაში ტერმინის მნიშვნელობის ცვლილება არ საჭიროებს ხელახალ მოლაპარაკებას ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების შესაცავლელად. ამ მიდგომის უარყოფითი მხარეა ის, რომ ერთმა სახელმწიფომ შეიძლება ისარგებლოს ცალმხრივად, რაც შეიძლება არ შედოდეს მეორე სახელმწიფოს ინტერესებში, რასაც შედეგად მოყვება ხელახალი მოლაპარაკებები ან გამოიწვიოს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების შეჩერება.

### **ხელშეკრულების ინტერპრეტირების პრობლემები საქართველოში**

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებების ინტერპრეტირების ზოგადი სამართლებრივი პრობლემები ასევე საქართველოსათვისაც არის პრობლემატური, რასაც თან ემატება ქართული კანონმდებლობის თავისებურებები.

საერთაშორისო ხელშეკრულების პირდაპირ გამოყენებასთან დაკავშირებით ქართულ კანონმდებლობას ორმაგი მიდგომა აქვს,



კერძოდ საქართველოს კანონში საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ მუხლ 6-3 ის მიხედვით საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც არ საჭიროებენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები არ საჭიროებდნენ დამაზუსტებელი ხასიათის ნორმებს, მუხლების შესაბამის გამოყენებასთან დაკავშირებით.[11]

С древнейших времен здоровье считается величайшей ценностью. Именно оно определяет качество человеческой жизни, его физические и духовные возможности, благополучие будущих поколений. В Уставе Всемирной организации здравоохранения здоровье человека провозглашается, как одно из основных прав всякого человека.

Здоровье это такое состояние, когда сохраняются и развиваются биологические, физиологические и психические функции организма, оптимальная работоспособность и социальная активность. Сегодня человек подвергается большим экологическим рискам. Ему приходится жить и работать в условиях высокой радиации, глобального загрязнения атмосферы, воды и почвы. Считается, что среди факторов влияющих на здоровье человека, 20-30% приходится на влияние окружающей среды.

Реакция человеческого организма по отношению загрязнителям окружающей среды различное и зависит от индивидуальных качеств: возраст, пол, состояние здоровья. Как правило, наиболее чувствительными являются пожилые, старики, больные и дети. 74% детской смертности приходится на диарею и инфекции. Ежегодно погибает 10 миллионов детей из за негативного влияния окружающей среды.

В отчете Всемирной организации здравоохранения, от 13 июня 2011 года, говорится, что человеческое здоровье можно существенно улучшить посредством удаления таких вредных факторов, как: экологическое загрязнение, опасная рабочая среда, ультрафиолетовое излучение, шум, климатические изменения. Посредством оздоровления окружающей среды возможно предотвращение 13 миллионов человеческих смертей ежегодно.

Здоровье населения является основным условием развития общества. В этой связи обязанностью государства является обеспечение безопасной для здоровья окружающей среды, сокращение вредных факторов и способствование оздоровлению населения. Также существенное значение имеет повышение информированности, экологического сознания, этики и знаний населения. Надеемся, что в ближайшее время изучение окружающей среды станет одним из приоритетов государственной политики.

**Ключевые слова:** окружающая среда, здоровье, экологический риск, радиация, экологическое загрязнение, изменение климата, оздоровление окружающей среды.

**Рецензент:** профессор Зизи Сванидзе, Грузинский технический университет.

ქეთი ჯიჯეიშვილი, ბიოგრაფიული  
ლოგისტიკური უნივერსიტეტის დოცენტი  
მსოფლიო პოლიტიკაში



ინტერესთა ჯგუფები – ლობები – წარმოადგენენ კონკრეტული პოლიტიკური მიზნების ირგვლივ გაერთიანებულ ინდივიდთა ორგანიზებულ ერთობებს, რომლებიც გავლენას ახდენენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ლობისტები გამოხატავენ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის ინტერესებს და ცდილობენ დაითანხმონ ხელისუფლება სხვადასხვა ფიარ ღონისძიებათა საშუალებებით ამ ჯგუფისათვის ანგარიშის გასაწევად.

აშშ-ში ყველაზე ცნობილ ინტერესთა ჯგუფებს წარმოადგენენ „ამერიკის შრომის ორგანიზაცია და საწარმოო პროფკავშირების კონგრესი“, „ამერიკის ფერმერთა ბიუროების ასოციაცია“ (წარმოადგენს ფერმერთა ინტერესებს), „ბიზნესნეტა მრგვალი მაგიდა“ (წარმოადგენს მსხვილ ბიზნესს) და „საერთო საქმე“ (წარმოადგენს ხელისუფლების რეფორმით დაინტერესებულ მოქალაქეებს).

ამერიკელი პოლიტოლოგი რობერტ დ. პატნემი თავის ნაშრომში „ბოულინგი მარტო: საზოგადოებრივი კაპიტალის ფლანგვა ამერიკაში“ ასახელებს სხვა ლობისტურ გაერთიანებებსაც: გარემოს დაცვა (საიეროს კლუბის ტიპი) ნაციონალური ორგანიზაცია და ფემინისტური ჯგუფები (ქალთა ნაციონალური ორგანიზაცია), რომლებიც მნიშვნელოვნად გაიზარდა 70-იან 80-იან წლებში და დღესდღეისობით საკუთარ რიგებში ასიათასობით წევრს აერთიანებს. ასევე ამერიკის პენსიონერთა ასოციაცია, რომლის რიგები თუ 1960 წლისათვის 400 000 წევრობის ბილეთის მქონე პირს აერთიანებდა, 1993 წელს 33 მილიონამდე გაიზარდა. ამის შემდეგ ასოციაცია იქცა ერთ-ერთ უმსხვილეს არასახელმწიფო გაერთიანებად მსოფლიო მასშტაბით. ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ვაშინგტონში ყველაზე გავლენიანი ლობისტების რიცხვში სწორედ მომხრეთა მრავალრიცხოვანი სიების წყალობით შედიან [1.378].

ლობისტურ ტექნოლოგიებს ხშირ შემთხვევაში მანიპულატორული ხასიათი აქვს, რადგან ლობების ინტერესები ყოველთვის არ მოდის თანხვედრაში საზოგადოების დანარჩენი ნაწილის ინტერესებთან, ამიტომაც ლობისტებს, რომლებიც კარგად ერკვევიან ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღებს ბიუროკრატიულ ტექნოლოგიაში, სჭირდებათ სხვადასხვა ფიარტექნოლოგიების გამოყენება ხელისუფლების დასარწმუნებლად.

ლობისტებს რიგ შემთხვევაში გააჩნიათ გარკვეული ბერკეტები ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოსახდენად. ჩვეულებრივ ეს არის ხალხი, რომლებსაც უმუშაოთ ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში. დღესდღეისობით აშშ-ში მთავრობის

უამრავი მოხელე და კონგრესის ყოფილ დეპუტატთა 50% ლობისტია, რაც თავის დროზე კონგრესში მათ მოღვაწეობაზეც აისახა.

უმთავრესი საფრთხე, რაც ამ ზღვარგადაცილებული ლობიზმიდან მომდინარეობს, მდგომარეობს მის მანიპულიატორულ ხასიათსა და პოლიტიკური გადაწყვეტილების დემოკრატიული და სამართლიანი პრინციპის მიხედვით მიღების ხელისშეშლაში.

აშშ-ში ბიზნესისა და პოლიტიკის მიმართება უფრო „კონსტიტუციურ“ ხასიათს ატარებს, ვიდრე გარდამავალ საზოგადოებებში, ვინაიდან ბიზნესი პოლიტიკაში ძირითადად არაპირდაპირი გზით, ირიბი სახით ერევა. ლობისტები არიან ყოფილი კონგრესმენები. დეპუტატობის დროს მას ბიზნესთან პირდაპირი კავშირი არა აქვთ. თავის მხრივ, ბიზნესმენებიც ზემოქმედებენ პოლიტიკაზე. მათი ზემოქმედება გამოიხატება ძირითადად შემოწირულობების სახით. როკფელერების ოჯახმა XX საუკუნეში რესპუბლიკურ პარტიას დაახლოებით 300 მილიონი დოლარი შესწირა. ტეხასის სანავთობო კომპანიები რეგულიარულად ურიცხავენ სახსრებს როგორც რესპუბლიკელებს, ისე დემოკრატებს. ეს თანხები მკვეთრად იზრდება არჩევნების პერიოდში. არცთუ იშვიათად მსხვილი ფირმები საარჩევნოდ თანხებს ურიცხავენ ორივე პარტიას, რომ თავი დაიზღვიონ „შეცდომისაგან“.

ზოგადად აშშ-ში, პერსონალური მართვის ამერიკული კომიტეტის მონაცემებით ყველაზე მეტი ლობისტისა და სხვა პოლიტიკნოლოგის დასაქმებას „ფაბრიკ რილეიშენზის“ სფეროში ფედერალური მთავრობა ახორციელებს. მაგრამ ის არასოდეს მისცემს თავს უფლებას, დაიკავოს რომელიმე ფიარ – სააგენტო, რათა უზრუნველყოს „საჯარო“ გუბერნატორის ან სენატორის გამარჯვება. პოსტსაბჭოთა სივრცეში კი კერძო პიარი, ფაქტობრივად, გადაეჯახკვა უზომო სიძლიერის მქონე ადმინისტრაციულ რესურსს, რითაც საარჩევნო პროცესის დისკრედიტირება მოეხდინა.

ქვეყნის გარეთ მისი ინტერესების დასაცავად ლობისტური ჯგუფი ან ცალკეული ლობისტი შეიძლება წარმოადგენდეს მთელ ქვეყანას მეორე ქვეყნის ხელისუფლების წინაშე. მაგ: საქართველოს ჰყავს ოფიციალური ლობისტი აშშ-ის კონგრესსა და მთავრობაში, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ინტერესებს აშშ-ში, ლობირებას უწევს საქართველოსათვის საჭირო და სასარგებლო გადაწყვეტილებათა მიღებას აშშ-ში. მისი წლიური ხელფასი 150 ათასი დოლარია და გადაიხდება საკუთარი ხაზინიდან. საქართველოს ხელისუფლება ფულს უხდის აგრეთვე აშშ-ში და ევროპაში რეგისტრირებულ კომპანიებს, მაგრამ ვითარება სხვადასხვაგვარია. ევროპაში, აშშ-საგან განსხვავებით კომპანიებთან

გაფორმებულ ხელშეკრულებებსა და თანხებზე ინფორმაცია სახელმწიფო სტრუქტურის არცერთ საიტზე არ ქვეყნდება, ამიტომაც უცნობია დამატებით რა ოდენობის თანხაა გადარიცხული საქართველო ხელისუფლების მხრიდან ევროპული კომპანიებისადმი. აშშ-ში კი ეს მონაცემები გამჭვირვალეა.

მათიას ჰუთერი, არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ხელმძღვანელი, ანალიტიკოსი და პროგრამის მენეჯერი თვლის, რომ „შეუძლებელია აშშ-ში ლობისტური კომპანია საქართველოს მთავრობისათვის მუშაობდეს და ამას არ ამჟღავნებდეს, რადგან ეს ჯამშუობად ჩაეთვლება, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. ამიტომ ამერიკული კომპანიები აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს გადასცემენ საჯარო ინფორმაციას თავიანთი საქმიანობის თაობაზე, სადაც დაწვრილებით აღწერენ, თუ რომელი ხელშეკრულების საფუძველზე გაუწიეს მომსახურება ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლებას და მათგან რა ოდენობით თანხა მიიღეს“.

როგორც ირკვევა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ 2004 წლიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე ორი მილიონ ექვსასი ათას დოლარზე მეტი თანხა გადაურიცხა აშშ-ში რეგისტრირებულ ლობისტურ კომპანიებს. ზემოთ დასახელებული თანხიდან მილიონ 306 ათას 800 დოლარი მხოლოდ გასულ წელს დაიხარჯა. 2010 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ the Podesta Group-ს გადაურიცხეს 600 000 აშშ დოლარი; The iftaca Group-ს 270 ათასი დოლარი; Gephard Group-ს 436 ათასი დოლარი, ე.ი. ჯამში, როგორც უკვე მოგახსენეთ, მილიონ 306 ათას 800 დოლარი დაიხარჯა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ აშშ-ში რეგისტრირებული ლობისტური კომპანია „The Group“-თან გაფორმებული ხელშეკრულების მომსახურების გრაფაში ერთ-ერთ პუნქტად აშშ-ის მთავრობასთან ურთიერთობა სახელდება.

The Podesta Group-ის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ტონი პოდესტა ყველაზე გავლენიანი პიროვნებაა აშშ-ის დედაქალაქში. მისი კომპანია ჩინეთის პოლიტიკურ წრებსაც უწევს ლობისტურ მომსახურებას. ტონი პოდესტას ძმა ჯონ პოდესტა თეთრი სახლის აპარატის უფროსი იყო ბილ კლინტონის პრეზიდენტობისას და დღესაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

ასევე ცნობილია, რომ საქართველოს ხელისუფლებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ამერიკულ კომპანია „გეპარდ გრუპთანაც“, სადაც მხოლოდ ერთადერთი მომსახურებაა

დაფიქსირებული, ლობირება და სამთავრობო ურთიერთობების კუთხით მომსახურების გაწევა საქართველოს მთავრობისათვის.

ჩვენდა სამწუხაროდ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებსაც ჰყავთ აშშ-ში ლობისტი – მარკ სეილორი, რომელსაც ორივე დე ფაქტო ხელისუფლებისაგან 720 000 დოლარი (შესაბამისად 360 000 – 360 000) ჰქონია აღებული [2.5]. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გრაფაში გაცილებით მეტი ჩამონათვალია, ვიდრე საქართველოს ხელისუფლების ლობისტურ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. მაგ: აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა ლობისტებისაგან ითოვს ფიარმოსახურებასა და კონსულტაციის გაწევას, აღწერას პრესაში, თუ რა ნაბიჯები გადადგა აფხაზეთმა დემოკრატიის გასაფართოებლად და დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად: „სამართლიანი არჩევნების ჩატარება, სამართლებრივი სისტემის შექმნა, ეკონომიკის განვითარებამ ქართველებისა და სხვა ეთნიკური უმცირესობების დაცვა“, ითხოვს იმის ხაზგასმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია „რუსეთთან კარგი ურთიერთობა“, მათ შორის, „რუსეთის ბაზების დატოვება აფხაზეთში“.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობა ლობისტთან გაფორმებული ხელშეკრულებით ითხოვს ფიარმოსახურებას, რომელიც „სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის წარმოებულ ძვირადღირებულ და აგრესიულ პოლიტიკას“ ამხელს, ასევე ხაზს გაუსვამს, თუ როგორ დაიცევს რუსეთის საჯარისო ფორმირებებმა სამხრეთ ოსეთის მშვიდობიანი მოქალაქეები ქართული საჯარისო ფორმირებებისაგან და რომ საჭიროა რუსეთის ჯარების დატოვება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რათა თავიდან აიცილოს საქართველოს ახალი თავდასხმა“.

ლობირების პროცესი თანამედროვე მსოფლიოში თავისი სტრუქტურით სულ უფრო რთული და მრავალფეროვანი ხდება, რაც სერიოზულ კვლევასა და ანალიზს საჭიროებს. ლობიზმს ორმაგი ბუნება ახასიათებს ერთი მხრივ იგი, როგორც ტექნოლოგია არსობრივად დადებითი მოვლენაა თანამედროვე პოლიტიკაში, ვინაიდან მას ახასიათებს:

1. წარმომადგენლობა – ინტერესთა ჯგუფები წარმოადგენენ ხალხს ხელისუფლების წინაშე.
2. მონაწილეობა – იძლევიან პოლიტიკური მონაწილეობის საშუალებას საერთო მიზნის მისაღწევად.

3. განათლება – მიზნის განხორციელების პროცესში ეხმარებიან თავიანთი წევრების, მთლიანად საზოგადოების და მთავრობის მოხელეების განათლებას.

4. პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბება – მათ პოლიტიკურ არენაზე გამოაქვთ ახალი საკითხები.

5. პროგრამების მონიტორინგი – ისინი თვალყურს ადევნებენ ამომრჩეველთათვის მნიშვნელოვან სამთარობო პროგრამებს და მათ შესრულებას ადგილებზე [3.132].

მაგრამ მეორე მხრივ, ინტერესთა ჯგუფების სისტემა საფრთხეს უქმნის პოლიტიკური თანასწორობის იდეას, რომელიც 200-ზე მეტი წლის წინათ დააყენა მედისონმა და რომელიც დღესაც გადაუჭრელია. იდეას, რომელიც კონცენტრირდება პრინციპში: „ერთი ადამიანი ერთი ხმა“.

### ლიტერატურა

#### References:

1. T. Mabshtadti, gavigoT politika, Tb., 2010.
2. gaz. “24 saaTi”, Tb., 2010.
3. V. SubiTize, politologia, Tb., 2008.

**Ketevan Jjeishvili, Giorgi Chkhikvishvili**

**Role of lobbyist PR-technologies in world politics**

### Symmary

Lobbyism was one of the advanced directions of a political technology. In the modern world process, lobbying becomes more and more complex and varied, that in turn requires serious research and the analysis. And the offered publication modest attempt of disclosing manipulation character lobbyist technologies is made, examples of use by lobbyists of various PR-technologies for achievement of the objectives are resulted.

**Keywords:** world politics, political technology, lobbyism, PR-technologies.

**Reviewer:** Professor Tengiz Grigolia, Georgian Technical University

**Кетеван Джиджейшвили, Георгий Чхиквишвили**

**Роль лоббистских PR-технологий в мировой политике**

## Резюме

В статье рассмотрены вопросы связанные с одним из передовых направлений политической технологии – лоббизмом. В современном мире процесс лоббирования становится все более сложной и разнообразной, что в свою очередь требует серьезного исследования и анализа. В предлагаемой публикации сделана скромная попытка раскрытия манипулятивного характера лоббистской технологий. В статье приводятся примеры использования лоббистами различных PR-технологий для достижения своих целей.

**Ключевые слова:** мировая политика, политические технологии, лоббизм, PR-технологии.

**Рецензент:** профессор Тенгиз Григолиа, Грузинский технический университет.

**იბერ** და **იბერია**-ს გაშიფრვა, ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, არაერთ მკვლევარს უცდია. სამწუხაროდ, მისი ნამდვილი თავდაპირველი მნიშვნელობა დღემდე საბოლოოდ დადგენილი არაა. ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა (**იბერ**, **იბერია**-ს ახსნა-წარმომავლობა) ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. მეცნიერულად, 2. ვულგარულად ანუ ფსევდომეცნიერულად. მოკლედ წარმოვადგენთ თითოეული მკვლევრისეულ ეტიმოლოგიურ ცდას.

ჩვ. წ. აღ-ით პირველ საუკუნეში იოსებ ფლავიოსი ასეთ ცნობას გვაწვდის: ბიბლიური იაფეტის შვილის თუბალისაგან წარმოიშვნენ თობალები, რომლებსაც იბერებსაც უწოდებდნენო. ეს მხოლოდ „გადმოცემაა“ და ჭეშმარიტებისაგან ძალიან შორს დგას. გულუბრყვილო ეტიმოლოგიას გვთავაზობს ვახუშტი ბატონიშვილი: თურმე ივერია შედგება სიხარულის აღმნიშვნელი „იი“ შორისდებულისაგან და „ვერიე“ (მოვერიე) ზმნური ფორმისაგან (მეფე ადერკიმ დაამარცხა და მოკლა მეფე არშაკ. მას სიხარულით შეუძახია: „იი, ვერიე“)[1]. სამწუხაროდ, ასეთი ახსნა ხალხურია, მეცნიერებსთან არაფერი აქვს საერთო. ეგვევ შეიძლება ითქვას კლ. იოსელიანის მოსაზრებაზეც: **ივერი იმერის** ნიადაგზე მიღებული სახელია, რომელიც ბერძნებს შეურქმევიათ ჩვენი ქვეყნისათვის [2, 23-25]. უფრო საყურადღებო ახსნას იძლევა მ. ბროსე, რომლის აზრით, **იბერია/ივერია** სომხური ენის მონაცემებით იხსნება: იგი ნიშნავს სომხეთისგან ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანას. სომხურად „ვერ“ ნიშნავს „ზედა“, „ზემოთ“, ხოლო არმენის ქართული სახელწოდება **სომხეთი** სამხრეთით მდებარე ქვეყანას გამოხატავსო [3, 15-16]. ეს მოსაზრება ყურადსაღებია ტერიტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, ორივე ერს თავიანთ ენაზე, ურთიერთისთვის, „ზედა და ქვედა ქვეყანა“ ეწოდებინა და ეს ტერმინები „უყოყმანოდ“ დამკვიდრებულიყო მატინანეში. ასევე ნაკლებდამაჯერებელია **ივერ/იბერ**-ის მომდინარეობა ებრაული **იბერ** ლექსემისაგან (ნიშნავს: „გადავიდა, გადასული“, გამომხატველი იმ ტომისა, რომელიც გადავიდა სპარსეთში ბაბილონიდან, ხოლო შემდეგ ევროპაში). ასევე გულუბრყვილოა ჰიდრონიმების **იორისა** და **ვერე**-საგან „ივერია“-ს მიღება.

სამწუხაროდ, მ. მარის ზემორე ეტიმოლოგია უფრო ფართედ, მზამზარეულად, უკრიტიკოდ, ჩართულია „ძველი მსოფლიო ისტორიის მეექვსე კლასის სახელმძღვანელოში“, რომ მხოლოდ სომხები ეძახიან (კი არ „ეძახიან“, უწოდებენ! ბ. და ე.ც.ს) საქართველოს „ვერასტანს“, რომ სახელწოდება „ივერ(ია)“ მომდინარეობს სომხური „ივერა“-დან, რაც ნიშნავს ზემო ანუ ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას, სადაც

სახლობდნენ ქართველური ტომები“[4,130]. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (რვატომეული) **იბერია** ასეა განმარტებული: „იბერია“ ისტ. აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფო ძველად (ახლანდელი ქართლის მიწა-წყალზე),–**ივერია**. ელინისტური ხანიდან მოკიდებული ბერძნები აღმოსავლურ-ქართულ სახელმწიფოს უკვე იბერიას ეძახიან, მის მცხოვრებლებს–იბერებს[5]. **იბერია//ივერია** სანიმუშოდაა განმარტებული ქართულ ენციკლოპედიაში [6]. **იბერია//ივერია** ანტიკურ-ბერძნულ წყაროებში არსებული და დამოწმებული ტერმინია.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ჩვენს ერამდე, **იბერები** ჩამოყალიბდნენ, როგორც ძველქართული ეროვნება, **სასპერი-სებერი**, რომელიც ჰეროდოტეს მიერ ძვ. წ. აღ-ით V საუკუნეშია მოხსენიებული, მომდევნო დროის იბერებს აღნიშნავს, ტერმინი იბერი“ კი წარმოშობილია ასირიული წყაროდან „ტაბალა“ ბიბლიური „ტუბალი“ და ბერძნული „ტიბარენი“-დან. ივ. ჯავახიშვილის თქმით, „თობალი ან ტუბალი ტიბარებისა და იბერების წინაპარი ტომის სახელად იყო და არის მიხნეული“[7,51].

ჰ. კუპრაშვილი იბერიას (მდრ. რუს. ივერია), როგორც მისივე სტატიიდან ჩანს, „ველბერძნულ-ქართულ უძველეს“ ტერმინად მოიხსენიებს. ამიტომაც მკვლევარი უპირატესობას ამ სიტყვაფორმას ანიჭებს და არა რუსულ (< ბიზანტიური პერიოდის) „ივერიას“ [8,96-97].

გ. კიკნაძის აზრითა და ეტიმოლოგიური ძიებით, „უფრო მისაღებია და ჭეშმარიტებასთან ახლოს დგას ის, რომ იბერია-ივერია მომდინარეობს „ბერა“-დან, რაც ნიშნავს აღმართულ, გადაჯვარედინებულ საბრძოლო იარაღს, რომელთა ქვეშაც ქართველები ძველად დამარცხებულ, ტყვედ ჩაგდებულ მტერს გაატარებდნენ და გამარჯვებულ ქართველებს ეწოდებოდათ „იბერი“, ხოლო ქართველთა ქვეყანას „იბერია“. მისივე თქმით, „ბერაში გატარება“ გადატანილი მნიშვნელობით ნიშნავს ვინმეს დამარცხებას, დაშინებას ან შერცხვენას. „ბერას“ აქვს კიდევ სხვა მნიშვნელობაც, რაც შემოზღუდულში დატოვებულ ვიწრო გასასვლელს ნიშნავს, რომელიც ცხვრის სათვლელად და საწველად იყენებდნენ ხოლმე“[9, 15]. მიუხედავად ასეთი ორიგინალური ახსნისა, ასეც რომ იყოს, მაინც ძნელი დასაჯერებელია, ქართველს თავისი თავისთვის **იბერი** ეწოდებინა, იგი უცხოელთაგან შერქმეული ეთნონიმი.

**იბერია** ტერმინს საგანგებოდ განიხილავს ა. შონია წერილში „დაუბრუნოთ საქართველოს მისი ისტორიული სახელი – იბერია“ [10,101-110]. ავტორისეული ძირითადი ხედვისა და კვლევის პოსტულატები ასეთია: 1. დაუბრუნდეს საქართველოს ძირძველი



სახელდება **იბერია**;2. ტერმინი **იბერია** ფორმით აშკარად მეგრულ სიტყვასთან („ბერ“) ასოცირდება და შესაძლებელია შინაარსითაც მეგრული იყოს... (შდრ. ბერია, გივიბერია, კაკუბერია და მისთ.); 3. რადგან **იბერიის** სამეფოს (ძვ.წ.ად. IV ს-დან XI-XIV სს) აღმოსავლეთ საქართველოს ერთიან სამეფოს ერქვა „იბერია“ და როგორც უცხოელი, ისე ქართველი მოღვაწეები აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ **იბერია**დ მოიხსენიებდნენ, მკვიდრებს კი **იბერება**დ, ყველას გვაგაღებულებს მხოლოდ „იბერია“ ტერმინის ხმარებას...

მკვლევრის პათოსი გასაგებია. ასე თუ ვიმსჯელებთ, ჩვენთვისაც სულ ერთია, რა გვერქმევა: ქართველი, აფხაზი, იბერი თუ კოლხი... მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაშინვე, სახელის გადარქმევისთანავე რუსი, სომეხი, ევროპელი თუ მაჰმადიანური სამყარო, ყველა არაქართველი თავიანთ ენაზე დღემდე ქართველის აღმნიშვნელი ეთნოტერმინით არ მოგვისხსენიებს (გრუზინ, გურჯი, ვრაც, ჯორჯ...). გამოსავალი, თუ როგორ, რა სახელდებით გავაცნოთ თავი მსოფლიოს, ქვეყნის ოდენ ისტორიული სახელით მოხსენიება არ იკმარებს, თუმცა ავტორისეული პოსტულატები ანგარიშგასაწევია და საყურადღებო.

ქართველური ეთნონიმების სრულიად უჩვეულო და დიდეტანტური ახსნა-ეტიმოლოგიათა ერთგვარი „კოქტეილი“ შემოგვთავაზა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამჟამინდელმა სრულმა პროფესორმა, ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტმა ელგუჯა ხინთიბიძემ. მან, მეცნიერისათვის სოლიდურ ასაკში მყოფმა, ლინგვისტური „წიაღსვლებით“ გააკვირვა ქართველოლოგები, კერძოდ, ენათმეცნიერები და ლამის ყველა ქართველური ეთნონიმის ერთი, საერთო ძირისაგან მომდინარეობა შემოგვთავაზა. თურმე ნუ იტყვიო, ქართველური ეთნონიმები, როგორიცაა: **იმერეთი, ეგრისი, გურია, გურჯ, გურზ, ჯურჯ, სპერი, ვერე** (მდინარის სახელი, ბ. ცხ.) **იბერ** ძირისგან მომდინარეა [11,26]. ე. ხინთიბიძის წიგნის შესახებ გამოქვეყნებულია დ. ანდრიაძის რეცენზია [12,237-239], რომელშიც მკვლევარ ე. ხინთიბიძის ნაკვლევი შეფასებულია მხოლოდ კულტუროლოგიურად (დადებითად), თუმცა როგორც არაენათმეცნიერს **გეორგია/გრუზია, იბერია/გურია**–ს შესახებ რაიმე შენიშვნა ან სურვილი რეცენზენტს არ წარმოუდგენია. იმერეთის **იმერ** ფუძე და გურიის **გურ** ძირი, ან **ეგრისისეული ვერ**ის **გურგ** ძირთან დაკავშირებას სწორედ ე. ხინთიბიძე თუ მოახერხებდა, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, გ. გიორგაძე, ნ. ხაზარაძე... და სხვა ცნობილი ქართველი დიდებული ისტორიკოსები კი ვერა. მკითხველს რომ ჩვენი კრიტიკული მიდგომა

სუბიექტურად არ მოეჩვენოს, დავიმოწმებთ ე. ხინთიბიძისეულ ერთ-ერთ მსჯელობას: „თუ სახელი **იბერია** კოლხეთში მოსულმა ფინიკიელებმა შეარქვეს ადმოსაველეთ საქართველოს, რატომ დამკვიდრდა თვით დასაველეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამ ეთნონიმის ფონეტიკური ვარიაციებიდან ნაწარმოები თვითსახელწოდება (სპერი, იმერეთი, ეგრისი, გურია)?“ [11, 27]. ე. ხინთიბიძის კიდევ ერთ „ენათმეცნიერულ“ ახსნა-მსჯელობას დავიმოწმებთ და მეტს აღარ შეგაწყენთ თავს მისეული ციტატების მოხმობას. გამოკვლევის 43-ე გვერდის ბოლოს სქოლიოში მკვლევარი **გურია** ეთნოტერმინის განმარტებისას შენიშნავს: „არც ისაა გამორიცხული, რომ **-ია (გურია)** დაბოლოება ქართული **-იან** სუფიქსის ნაშთი იყოს (შეადარე: წაბლ-იანი და სხვ.) მითუმეტეს, რომ **-ია** დაბოლოებიანი ადგილის სახელები დასაველეთ საქართველოში ბევრია: მერ-ია, სა-მტერედ-ია, სა-თაფლ-ია, სა-ღორ-ია და სხვ.“

აქ ისეთ ლინგვისტურ უვიცობა-გაუგებრობასა თუ „წაჯექ-უკუჯექობასთან“ გვაქვს საქმე (როგორც ილია ჭავჭავაძე იტყობდა), რომ ზედმეტია ყურადღების გამახვილება და კრიტიკული ანალიზი. სპეციალისტი ე. ხინთიბიძისეული „ლინგვისტური ეტიმოლოგიის“ ხიბლს ადვილად შეიცნობს და შეიგრძნობს.

რა შეიძლება დავასკვნათ მეცნიერთა მიერ **იბერ** სიტყვის ანალიზიდან?

**იბერი** და **იბერია**, როგორც ეთნოტერმინი, ეთნონიმი, მართალია, ძალიან ძველი სახელდება, მაგრამ იგი ქართველების თვითწოდებად კი არ გამოჩანს, არამედ, იგი უცხოელთაგან შერქმეული ეთნოტერმინია. ისტორიკოს მ. სანაძის შენიშვნით, „ფარსმან ქველის ცხოვრება“ ბერძნულად უნდა ყოფილიყო დაწერილი, რადგან გამოყენებულია გამოთქმა **მითრიდატე ქართველი**, რაც **მითრიდატე იბერიელის** ქართული თარგმანია [13,155]. დღემდე არ არსებობს შემთხვევა, რომ ქართველი თავისი თავი ვისმეს იბერიელად გააცნოს. ისტორიული პიროვნების სახელი – პეტრე იბერი არაქართულ გარემოში შექმნილი ვინაობის დამადასტურებელი წოდებაა, როგორც ცნობილია, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმაში მოხდა **ბ->გ**ში გადასვლა, რის შედეგად გაჩნდა ისეთი პარალელური სიტყვაფორმები, როგორცაა: ბიქტორი და ვიქტორი, იბერია // ივერია (ბიზანტიური წარმოთქმის ბერძნულით, ასევე რუსულის გავლენით), აქედან კი ლამის ჩვენ თვალწინ წარმოიქმნა ახალი ქართული გვარსახელი **ივერიელი** (შდრ. ცნობილი ისტორიული პიროვნების სახელდება ანთიმოზ ივერიელი..) იბერია რომ ძველი სამყაროს, ბერძენ-რომაელთა და საერთოდ უცხოელთა მიერ შერქმეული ეთნონიმა, მოწმობს დღემდე ევროპაში შემორჩენილი ეთნოტერმინები.

კელტებრები, იბერიული ენა (ბასკური ენის წინაპარი ენა) და მისთ. ლექსემები.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ პირენეს ნახევარკუნძული რომაელების დაპყრობამდე რამდენიმე ეთნიკურ ზონედ იყოფოდა. დასავლეთი ნაწილი, დღევანდელი პორტუგალიის ჩათვლით, კელტებს ეკავათ (კელტური ენა ახლო დგას სლავურ, გერმანიკულ და სხვა ინდოევროპულ ენებთან), სამხრეთ-აღმოსავლეთით (დღევანდელი კატალონია და მურსია) იბერები ცხოვრობდნენ, ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში (დღევანდელი მადრიდი) შერეული, კელტურ-იბერიული ტომები ბინადრობდნენ, ჩრდილოეთში, თანამედროვე ანდალუზიაში, ტურდეტანები სახლობდნენ, რომელთაც ნაწილობრივ პორტუგალიის სამხრეთი ნაწილი ეკავათ; და ბოლოს, ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, დაახლოებით დღევანდელი ბილბაოდან ანდორამდე და უფრო აღმოსავლეთით – ებროს ზემო დინებამდე ცხოვრობდნენ მთიელი ტომები, რომელთა ენებიც ბასკურს უახლოვდებოდა. ეს ტომები საფრანგეთის მდინარე გორონის სანაპიროებზეც ბინადრობდნენ. დღეს ამ ტერიტორიას ბასკონია ეწოდება. დღევანდელი გადასახელიდან ძნელია თქმა იმის, თუ რა ტიპისა და წარმომავლობის ენებთან გვეკონდა საქმე. მათი ასიმილირება და მათივე მოსახენიება იბერიელებად და იბერიულ ენებად, ჩვენი აზრით, სწორედ რომაელების „დამსახურებაა“. რაც შეეხება ძველი იბერიული ტექსტის წაკითხვის მცდელობას ქართული ანბანით, ისეთივე დილეტანტობაა, როგორც „შუშანიკის წამების“ ტექსტის წაკითხვა ბასკურ-იბერიული ანბანით.. [14,2]. სამწუხაროდ, საქართველოში, 80-იან წლებში ბასკურ-კავასიურ-ქართველოლოგიური კვლევა თუმცა დაიწყო და ჩვენს სინამდვილეში რამდენიმე სადისერტაციო ნაშრომიც დაიწერა, მაგრამ მცდელობა და დასაწყისი ოდენ მცდელობად დარჩა. ქართველური და ბასკური ენების ნათესაური კვლევა-ძიება, აღარ განვითარდა, ჩაკვდა.., საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, ამ მიმართულებით კვლევების ჩატარება და სამეცნიერო ცენტრის შექმნა-დაარსება აუცილებელ და გადაუდებელ საკითხად გვესახება.

ამრიგად, პირინეს ნახევარკუნძულის ძირძველი მოსახლეობა, საფიქრებელია, **იბერს** და **იბერიას** ისევე არ უწოდებდნენ თავიანთ ენაზე საკუთარ თავს, როგორც ძველი ქართველნი თავიანთ სამშობლოს და ადგილ-საცხოვრისს... არც ძველად და არც ახლად, ქართველი თავის სამშობლოს **იბერია** ტერმინით არ მოიხსენიებდა და არც მოიხსენიებს. ეს ტერმინი გარესამყაროს არაქართველთა (ძველი აღმოსავლელი ხალხების, ბერძენ-რომაელთა...) მიერ შერქმეული ეთნოსახელდება.

**PS.** XVII საუკუნის ცნობილი გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგსი წიგნში „ცნობები საქართველოს შესახებ“ (Jacob Reineggs. Reise in Georgien ანუ Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus (1796-1797)) ერთგან საქართველოს ორნაირ წყვილად ტერმინით **იბერია-გეორგიის** სახით მოიხსენიებს [15,16], ხოლო სხვა გვერდებზე მხოლოდ იბერად (გვ. 117-118 და მისთ.)

**PPS.** ხალხურ-გულგარული ეტიმოლოგიის ნიმუშად გვესახება ზოგ მეცნიერთა ჰიპოთეტური დაკვირვება. მაგ., შ. ამირანაშვილის კრიტიკისას მ. მიქელაძე წერს: მისი მსჯელობა ცალმხრივიაო (16,11, შენ. 1). წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელია გვერდი აუარო იმ ფაქტს, რომ „ჰიბერ“, „ჰბერ“ ანუ „ჰივერ“, „ჰვერმა“ ცვლილება გამოიარა... მფშინავი „ჰ“-აე „გ“-ანად შეიცვალა და წარმოსდგა „გვერ“. მ. მიქელაძის ახსნით, „ეს საყურადღებო მოვლენაა ტოტემიზმის პრინციპების თვალსაზრისით, სიტყვის ფორმის ცვლილებას არ მოუხდენია გავლენა მის მნიშვნელობაზე, რაკი „ბერ“ სუმერულად ნიშნავდა მგელს, „გვერ“ კი იმავეს ნიშნავს ლაზურ-მეგრულად [16, 11]. სამწუხაროდ, აქ სრული „დომხალია“ – გაუგებარია ის, რომ ჰიბერ, ჰბერ, ჰივერ, ჰვერის რეალურად არსებობა, როცა ამის წერილობითი არცერთი შემთხვევა არა გვაქვს დადასტურებული. გაუგებარია ისიც, რომ თითქოს ამ შემთხვევაში „მფშინავმა“ ჰ-აემ მოგვცა გ: ჰ → გ. სხვაგვარად, ჰბ კოპლექსისგან ქართულში გგ ვერ მიიღება. ცხადია, ქართულში ასეთი შემთხვევები გვაქვს (მაგ., ჰიტლერი → გიტლერი..., ჰესი → გესი...), მაგრამ ეს სხვა რიგის და სხვა (ახალი) დროის მოვლენაა და საკუთრივ ქართულ-ქართველურ მოვლენად არ გაიგება. მეტიც: ქართველურ ენებში ჰ → გ მიღების არც ერთი შემთხვევა არ არსებობს. შდრ. **დინდლი** → **გინგლი**...

6. წულუკიძე თავის ორიგინალურ ნაშრომში ქართველ, იბერ და სხვა ეთნონიმთა და ტიპოსახელთა სრულიად უჩვეულო და დღემდის უცნობ ვერსიას გვთავაზობს. ავტორის კონცეფციით, არიან-ქართლიდან მოსული აზო და მისი სახელეულობა ინდოელებია, რომლეთაც თურმე საქართველოში არაერთი კულტურული სიახლე შემოიტანეს – თვით ტერმინი ქართველი, მათთვის დამახასიათებელი რელიგიურობა და ანბან-დამწერლობის ტრადიცია. ცხადია, ნაშრომი მკვეთრად გამოსატყული ჰიპოთეტური წიაღსვლებით, არაიშვიათად ლოგიკურობას – მტკიცებულობა-საბუთიანობას – დამაჯერებლობას მოკლებულია, რადგან ისე გამოდის, რომ მანამდე თითქოს ქართველებს არავითარი ეთნიკური თვითსახელდება არ ჰქონიათ. სხვათა ნაშრომზე დაყრდნობით მკვლევარი ერთგან წერს: კავკასიაში გადმოსახლებული ინდოელების „**აბჰირები**საგან” ხომ არ წარმოდგა **იბერია** სახელიო (მისი ვარაუდი მკვლევარ პრაბჰუპადას ცნობას

ემყარება): **აბჰირებს** პროვინცია სინდში უცხოვრიათ, მოგვიანებით კი ინდოეთში გაბატონებული მდგომარეობა დაუჭერიათ. ნ. წულუკიძის ვარაუდით, პრაბჰუპადას ეს ცნობა, შესაძლოა, იბერ-ქართველთა ინდოეთში ლაშქრობის ხსოვნასაც ეხმიანებოდესო [17,76]. იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ „ძველთაგანვე ცნობილი პაროპამისოსი – „ინდოეთის კავკასიონზე“ მდებარე აღმოსავლეთთან, ამაჰმად ავღანეთ-კისტანის დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანეს გასასვლელს **საიბერი** ჰქვია და შესაძლოა შემთხვევითი არ იყოს, რომ ამ სახელში იკითხება „**იბერი**“ ან „**ჰიბერი**“ [17,77-78]. თავისთავად ამ კუთხით კვლევა სასარგებლოა ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის. ჩვენც უჭვი არ გვეპარება, ინდოეთთან ისტორიულად არაერთი კულტურული თუ ლინგვოკულტურული ფაქტი გვაკავშირებს, მაგრამ მხოლოდ ვარაუდის დონაზე აზრის გამოთქმა საკვლევ პრობლემას წინ ვერ წასწვევს. თუ ასე „ვიკვლევთ“, მაშინ **ლიგურია**, **ლიბერია**, **ბერბერები** ეთნოსახელდებები და ა. შ. იბერიულ-ქართველურ სამყაროს უნდა დავუკავშიროთ. ვიმეორებთ: ეტიმოლოგიური ძიებას სანამ არ გაირკვევა, საკვლევ-საანალიზო სიტყვაში ესა თუ ის აფიქსი თუ ელემენტის რაობა, მანამ ვერაფერი ვერ დამტკიცდება (მაგ., თუნდაც ჰიბერია//იბერიაში რა არის **ჰ**, **ჰი** თავკიდური ელემენტი).

მასთან დაკავშირებით დავძენთ: სპეციალურ ლიტერატურაში **სასპერებს იბერ** ეთნონიმს უკავშირებენ: **იბერი** (←**სპერ**-**ჰიბერ**-**იბერ**). ფონეტიკური გარდასახვა მართებულია – ქართველურ ენათა ფონეტიკურ პროცესებს შეესაბამება: **იბერ**→**სპერ**//**ჰიბერ** (I ხმოვნის დასუსტება→**ი**ად ქცევა→**ჰ**//სანის დასუსტება). თუ ეს ასეა, მაშინ **სასპერ**//**სპერ** გვიანდელი. მეორეული ფორმაა **იბერია** სიტყვისა, სხვაგვარად, **სასპერ**ში **სა**- თავსართი სიტყვასაწარმოებელი პრეფიქსია, ხოლო **ს** იოტას ბგერინაცვალი. შდრ. სომხეთი//სასომხეთი, სპერი – სასპერ{ეთ-ი}. შდრ. უფრო გვიან გაჩენილი სიტყვატერმინები **სა-ბერ-იო**←**\*საბერიაო** (ადგილი, კუთხის სახელწოდება დასავლეთ საქართველოში (სამეგრელო-სამურზაყანოში); **სა-ბერ-ე** – „სათესლედ შენახული კიტრი და მისთ). როგორც ცნობილია, **სასპერ**//**სპერი** აღმოსავლურ-ქართული გაერთიანება კოლხებსა და მიდიელებს შორის (ჰეროდოტე). ქართულ ისტორიოგრაფიაში **იბერია**, ჩვენგან განსხვავებით, **იბერია** **სასპერ**ისაგან მომდინარედ მიაჩნიათ. ამრიგად, ჩვენი დასკვნით, **იბერია** ბევრად ძველი ეთნონიმი უნდა იყოს, **სასპერ**, **სპერი** მისი ვარიაციული (დიალექტური) ფორმა. სამწუხაროდ, ქართულ საისტორიო მეცნიერებაში **სასპერების** შესახებ აზრთა სხვადასხვაობა სუფევს [18, 4-5].

მართალია, ბერ ფუძე ქართულ-ქართველურ ენებში სხვადასხვა მნიშვნელობით გვაქვს, თუმცა მას არაფერი აქვს საერთო იბერიის ბერ ძირთან. სპეციალისტთა მიერ შემჩნეულია, რომ ბრეცა, ბრეტა, ბერ-ბეც<sup>2</sup>ში, რომლის ეტიმონად „თვალს“ გუგულობენ, „ზოგჯერ იბადება აზრი: ბერ ხომ არ არის ნასესხები რომელიმე უცხო ენიდან, ვთქვათ, სპარსულ-ირანული არეალებიდან: შდრ. მაგ., ბერ „დაბნელება“ (ასტრ.)//„მთვარეული“. ე. ჯეირანიშვილის თქმით, „ამის კვალობაზე ბერ დაუკავშირდებოდა „ბნელის“ ცნებას; მაგრამ რატომაა, რომ ამის შესახებ არაფერია თქმული ეტიმოლოგიურ ლექსიკონებსა თუ გამოკვლევებში? გამორჩათ? თუ ეს ასე არ არის?!“ [19,278, შენ.26]. ცხადია, ბერ ფუძე, ამ შემთხვევაში, სრულიად სხვაგვარი წარმომავლობისაა და მისი დაკავშირება იბერ, იბერი<sup>3</sup>ის ფუძესთან არ შეიძლება.

### ლიტერატურა

#### Referenses:

1. **batoniSvili vaxuSti**, aRwera samefosa saqarTvelosa, gamosca s. *yauxCiSvilma*, Tb., 1973 (Georgian)
2. **Ioseliani P.** pazlicnia naimenobania gruzinov. T6., 19461983 (Russian)
3. **Brosset M.** Historie de la Georgie. t. I. 1849 (Franch)
4. **TvaliaSvili q., CikvaiZe c.**, Zveli msolfio istoria, meeqvse klasis saxelmZRvanelo, Tb., 2001(Georgian)
5. qarTuli enis ganmartebiTi leqsikoni (rvatomeuli), **arn. Ciqobavas** saerTo redaqqiT, t. IV, Tb., 1955) (Georgian)
6. qarTuli enciklopedia, t. V, Tb., 1980(Georgian)
7. **javaxiSvili i.**, saqarTvelos, kavkasiisa da maxlobeli aRmosavleTis istoriul-eTnologiuri problemebi, Tb., 1950 (Georgian)
8. **kupraSvili h.**, ZvelberZnul-qarTuli uZvelesi termini „iberia“ Tu axalibizantiuri-rusuli „iveria“ ?. samecniero-saliteraturo Jurnal. paraleli, 2011, #1
9. **kiknaZe v.**, `rac daiwera kalmiTa, ar waiSleba bariTa~. gaz. `literaturuli saqarTvelo~, 1-7 Tebervali, 2002(Georgian)
10. **Sonia a.**, davubrunoT saqarTvelos misi istoriuli saxeli – `iberia~. ix. kreb. : saistorio vertikalebi, Tb., 2002(Georgian)
11. **xinTibiZe e.**, qarTvelTa saxelwodebebi da maTi etimologia, Tb., 1998(Georgian)
12. **andriaZe d.**, mgeli \_ qarTvelur tomTa totemi. ix. J. `axali paradigmebi~, #2, 1999(Georgian)
13. **sanaZe m.**, `qarTlis cxovreba~ da saqarTvelos istoriis uZvelesi periodi (qarTlosidan mirianamde). *m lorTqifaniZisa* da *T. beraZis* redaqqiT, Tb., 2001(Georgian)

14. saZiebeli jer kidev bevria (interview Tsu docent **iuri zicarTan**). gaz. `komunisti~, 1982 wlis 29 agvisto (Georgian)

15. **rainegsi i.**, mogzauroba saqarTveloSi. germanulidan Targmna, Sesavali da saZiebeli daurTo **g. gelaSvilma**, Tb., 2002 (Georgian)

16. **miqelaZe m.**, `totemi da Zveli samyaro (`kavkasia-xmelTaSua zRva-pireneebi...~) [miTebis, legendebis, hipoTezebis da varaudebis kvaldakval], gamomcemloba `nekeri~, Tb., 2001 (Georgian)

17. **wulukiZe n.**, arian-qarTlidan mosulni, s. gogitiZis redaqqiT. baTumi, 2010 (Georgian)

18. **yoranaSvili g.**, **sad gaqqrnen sasperebi ? Gaz. „Tbilisi” 30 04. 1989** (Georgian)

19. **jeiraniSvili e.**, qarTul (qarTvelur) da udiur (lezgiur) enaTa leqsikuri paralelebi. zogi fonetikuri cvlilebis sakiTxi. dabewd. : saenaTmecniero krebuli. I. Tb., 1984 (Georgian)

## **Badri Tskhadadze, Eka Tskhadadze** **To the Origin of the Term Iber, Iberia. I.**

### **Summary**

Many researchers have tried to decipher the etymological context of the term iber, iberia. Regretfully, the authentic original meaning of this term has not been established till now. The interest of researchers towards this issue (the interpretation-origin of the term iber, iberia) can be divided into two groups: 1. scientific and 2. vulgar or pseudoscientific.

According to the conclusion made by the authors iberi and iberia as an ethnoterm, ethnonym, is indeed a very ancient name, but as it turns out it is not the original name of the Georgians, but rather an ethnoterm devised by the foreigners. Worth mentioning is the comment made the historian M. Sanadze: “The Life Story of Parsman Qveli must have been written in Greek, as the expression Mitridat Kartveli is used there, which is a Georgian translation of Mitridat Iberieli”. And in fact there has never been a case of a Georgian presenting himself/herself to someone as Iberieli. The surname of the historical personage Petre Iberi is the name representing a person, created in a non-Georgian environment. It is a common knowledge that in the Byzantine Greek pronunciation a transfer took place from b - > v, as a result of which such parallel word forms emerged as Bictor and Victor, Iberia/Iveria (in Greek with Byzantine pronunciation and under the influence of Russian), from which, as if in our presence, a new Georgian family name Iverieli emerged (cf.: the surname of the famous historical personage Antimoz Iverieli). To the fact that Iberia is in fact an ethnonym devised as a name by ancient Greeks and Romans, and foreigners in general, testify such ethnoterms as celtibers, Iberian





негрузинском окружении название, свидетельствующее о личности; как известно, в произношении византийского греческого имел место переход от б -> в, в результате чего возникли такие параллельные словоформы, как: Биктор и Виктор, Иберия//Иверия (на греческом с византийским произношением и под влиянием русского языка), отсюда же, почти у нас на глазах возникло новое грузинское фамильное имя Ивериели (ср. прозвище известной исторической личности Антимоза Ивериели). О том, что Иберия является этнонимом, придуманным в качестве названия древними греками и римлянами, и вообще иностранцами, свидетельствуют остающиеся и по сей день на территории Европы этнотермины: кельтиберы, иберийский язык (предок баскского языка) и подобные лексемы.

Таким образом, содержащий основу бер исторический термин иберия, ибери, ибериели, обозначающий Грузию и грузина в зарубежных источниках, является этнонимом, придуманным иностранцами, ведь интересно, как же могло коренное население Пиренейского полуострова называть себя на своем языке ибер и иберия, т.е. так же как и древние грузины называли свою родину и местожительство?! Ни в прошлом, ни в настоящем грузин не называл (и не назовет) свою родину термином иберия. Этот термин – этнопрозвище, придуманное в древние времена негрузинами зарубежья (древними восточными народами, евреями-греками-римлянами ...).

**Ключевые слова:** ибер, иберия, этнотермин, этноним, Житие Парсмана Квели’, Митридат Картвели, Митридат Ибериели, Петре Ибери, Антимоза Ивериели, грек, и римлян, кельтиберы, иберийский язык (предок баскского языка), негрузинами зарубежья (древними восточными народами, евреями-греками-римлянами ...).

**Рецензент:** профессор Генри Купрашвили, Грузинский технический университет.

## CONTENTS



## ТЕОРИЯ

**Ираклий Рехвиашвили, Отар Кочорадзе**

Кое-что о демократии-----5

**Шота Догондзе**

Органы Государственного управления и определение итогов их деятельности-----33

## ИСТОРИЯ

**Никита Куликов**

Система управления на Черноморском побережье в конце XIX – начале XX вв. (на примере города Сочи)-----43

## ЭКОНОМИКА

**Тенгиз Григолиа**

Влияние глобализации на мировой политике и экономике-----54

## ПРАВО

**Софио Догондзе**

Этноконфликты или сепаратизм: попытка расчленения Грузии-----61

**Георгий Купарадзе**

Правовые аспекты интерпретации договоров об избежании двойного налогообложения -----73

**Георгий Хатидзе**

Правовые Основы и Руководящие Принципы Миротворческих Операций ООН -----85

## ОБЩЕСТВО

**Тамара Ревазишвили**

Окружающая среда и здоровье----- 97

**Кетеван Джиджейшвили, Георгий Чхиквишвили**

Роль лоббистских PR-технологий в мировой политике-----104

**Бадри Цхададзе, Эка Цхададзе**

К происхождению термина ибер, иберия. I.-----110

საგარეო ურთიერთობებისა და სახელმწიფოებრივი

თენგიზ გრიგოლია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
შოთა დოდონაძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
სოფიო დოდონაძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
ნიკიტა კულიკოვი	რუსეთის სახელმწიფო სოციალური უნივერსიტეტის ასპირანტი (მოსკოვი)
თამარ რევაზიშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ირაკლი რეხვიაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ოთარ ქონორაძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
გიორგი ყუფარაძე	ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი
გიორგი ჩხიკვიშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
ბადრი ცხადაძე	საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ეკა ცხადაძე	საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
გიორგი ხატიძე	კავკასიის სამართლის სკოლის დოქტორანტი
ქეთი ჯიჯვიშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**Authors**

Giorgi Chkhikvishvili	Doctoral Candidate, Georgian Technical University
Shota Dogonadze	Professor of Georgian Technical University
Sopio Dogonadze	Doctoral Candidate, Georgian Technical University
Tengiz Grigolia	Professor of Georgian Technical University
Ketevan Jijeishvili	Professor of Georgian Technical University
George Khatidze	Doctoral Candidate, Caucasus School of Law
Otar Kochoradze	Professor of Georgian Technical University
Nikita Kulikov	Post-graduate student of Russian Social State University
Giorgi Kuparadze	Undergraduate student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Irakli Rekhviashvili	Professor of Georgian Technical University
Tamar Revazishvili	Professor of Georgian Technical University
Badri Tskhadadze	Professor, Shota Rustaveli Theatre and Film State University
Eka Tskhadadze	Professor, Shota Rustaveli Theatre and Film State University

Тенгиз Григолия	Профессор Грузинского технического университета
Шота Догонадзе	Профессор Грузинского технического университета
Софио Догонадзе	Докторант Грузинского технического университета
Кетеван Джиджеишвили	Профессор Грузинского технического университета
Отар Кочорадзе	Профессор Грузинского технического университета
Никита Куликов	Аспирант Российского государственного социального университета (Москва)
Георгий Купарадзе	Магистрант Тбилисского государственного университета им. Ив.Джавахишвили
Тамара Ревазишвили	Профессор Грузинского технического университета
Ираклий Рехвиашвили	Профессор Грузинского технического университета
Георгий Хатидзе	Докторант Кавказской Школы Права
Бадри Цхададзе	Профессор Тбилисского государственного университета театра и кино им. Шота Руставели
Ека Цхададзе	Профессор Тбилисского государственного университета театра и кино им. Шота Руставели
Георгий Чхиквишвили	Докторант Грузинского технического университета

ნანა ავალიანი	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ეგვიპტეში საქართველოს საელჩოს დესპანი (საქართველო)
რუდიგერ ანდრესენი	ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ეკონომიკის დარგში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (გერმანია)
მეუფე აბრამი (გარმელია)	დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი (საქართველო)
ევეკენი ბარათაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საქართველო)
გიორგი ბალათურია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო)
ოთარ ბალათურია	პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი (საქართველო)
რასა ბელოკაიტე	ვიტაუტას ღიდის უნივერსიტეტის პროფესორი (ლიტვა)
ანასტასია განინი	რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური აზიის, კავკასიისა და ურალ-ვოლგისპირეთის შემსწავლელი ცენტრის მეცნიერ-მუშაკი, დოცენტი (რუსეთი)
იური გორიცი	მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის პროფესორი (რუსეთი)
ვახტანგ გურული	ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო)
შოთა დოდონაძე	მთავარი რედაქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სახელმწიფო მართვის მიმართულების ხელმძღვანელი (საქართველო)
ელუნ დრაკე პარალდ ვერტცი	ევროპის საბჭოს ექსპერტი (საფრანგეთი) სორბონას უნივერსიტეტის „პარი-8“-ის პროფესორი ინფორმატიკის დარგში (საფრანგეთი)
გენადი იაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და სამართლის საერთაშორისო გერმანულენოვანი ინსტიტუტის ხელმძღვანელი (საქართველო)

სერჯო კამიზი	“ლა საპიენძა”-ს უნივერსიტეტის პროფესორი. (იტალია)
რიჩარდ მასი	ნოტრდამის უნივერსიტეტის პროფესორი (ნიდერლანდების სამეფო)
როინ მეტრეველი	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (საქართველო)
იოშიკა მიცუი	იოკოჰამას ეროვნული უნივერსიტეტის (იაპონია)
ბადრი ნაკაშიძე	მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის ფაკულტეტის პროფესორი (რუსეთი)
ლიზავეტა უახანიძე	კანზასის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ამერიკის შეერთებული შტატები)
ბუდი ნურანი რუჩჯანა	პაჯაჯარანის უნივერსიტეტის პროფესორი. (ინდონეზია)
რამონ პიეტრო-სუარესი გერტ სურმიულენი	ევროპის საბჭოს ექსპერტი (ესპანეთი) დოქტორი, ლოჯისტიკური კომპანიის პრეზიდენტი (გერმანია)
ქეთი ქოქრაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (საქართველო)
ოთარ ქოჩორაძე	მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო)
რუსუდან ქუთათელაძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი (საქართველო)
მაია ჩხეიძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი (საქართველო)
ენდრიუ ლენუქს პარდინგსი	კინგსკოლეჯის პროფესორი (დიდი ბრიტანეთი)



**EDITORIAL BOARD**

NANA AVALIANI	PhD of History, Counselor-envoy of Georgia in Egypt (Georgia)
RUDIGER ANDRESEN	Professor of Economics of Berlin University, Doctor of Honour of Georgian Technical University (Germany)
His Eminence ABRAHAM (GARMELIA)	Metropolitan of Western Europe (Georgia)
EVGENI BARATASHVILI	Professor of Georgian Technical University, Head of Department of Economics and Business Management (Georgia)
GIORGI BAGATURIA	Professor of Georgian Technical University (Georgia)
OTAR BAGATURIA	Responsible Editor, Doctoral Candidate of Georgian Technical University (Georgia)
RASA BELOKAITE	Professor of the University of Vitautas the Great (Litva)
MAIA CHKHEIDZE	Professor of Georgian Technical University (Georgia)
ELUN DRUCKE	Expert of European Council (France)
SHOTA DOGONADZE	Chief Editor, Professor of Georgian Technical University, Head of Public Administration Department (Georgia)
ANASTASIA GANICH	Docent, Scientific worker of Central Asia, Caucasus and Ural-Volga researcher center of the Academy of Sciences of Russia (RF)
YURI GORITSKIY	Professor of Moscow Power Engineering Institute (RF)
VAKHTANG GURULI	Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University (Georgia)
ANDRU LENUKS HARDINGS	Professor of King's college (UK)
GENADI IASHVILI	Professor of Georgian Technical University, Head of the International German Institute (Georgia)
SERGIO CAMIZ	Professor of the University of Roma „La Sapienza“ (Italia)
KETI KOKRASHVILI	Professor of Georgian Technical University, Head of the Administration (Georgia)
OTAR KOCHORADZE	Deputy Editor-in-Chief, Professor of Georgian Technical University (Georgia)
RUSUDAN KUTATELADZE	Professor of Georgian Technical University,

RICHARD MAAS	Dean of Business-Engineering faculty (Georgia)
ROIN METREVELI	Professor of the University of Notrdam (The Netherlands)
IOSHIKA MITSUI	Academy of Science of Georgia, Academician (Georgia)
BADRI NAKASHIDZE	Professor of National University of Yokohama (Japan)
RAMON PIETRO-SUARES	Professor of M.Lomonosov Moscow State University (RF)
BUDI NURANI RUCHJANA	Expert of European Council (Spain)
GERT SURMIULEN	Professor of the University of Padjadjaran (Indonesia)
LIZAVETA DJAKHANINA	Doctor, preident of Logistic company (Germany)
HARALD WERTZ	Professor of Kanzas State University (USA)
	Professor of Informatics of Sorbona University "Pari-8" (France)

**РЕДКОЛЛЕГИЯ**

НАНА АВАЛИАНИ	Посол по особым поручениям МИД Грузии, доктор исторических наук (Грузия)
Владыко АВРААМ (ГАРМЕЛИЯ) РУДИГЕР АНДРЕСЕН	Митрополит Западной Европы (Грузия) Профессор экономики Берлинского университета, почетный доктор Грузинского технического университета (Германия)
ГЕОРГИЙ БАГАТУРИЯ	Профессор Грузинского технического университета (Грузия)
ОТАР БАГАТУРИЯ	Ответственный секретарь, докторант Грузинского технического университета (Грузия)
ЕВГЕНИЙ БАРАТАШВИЛИ	Профессор Грузинского технического университета, руководитель департамента экономики и управления бизнесом (Грузия)
РАСА БЕЛОКАЙТЕ	Профессор университета Витаутаса Великого (Литва)
ХАРАЛЬД ВЕРТЦ	Профессор информатики Сорбонского университета «Пари-8» (Франция)
АНАСТАСИЯ ГАНИЧ	Доцент, научный сотрудник исследовательского центра Центральной Азии, Кавказа и Урал-привольжья АН РФ (РФ)
ЮРИЙ ГОРИЦКИЙ	Профессор Московского энергетического института (РФ)
ВАХТАНГ ГУРУЛИ	Профессор Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили (Грузия)
ЕЛУН ДРАКЕ ШОТА ДОГОНАДЗЕ	Эксперт Совета Европы (Франция) Главный редактор, профессор Грузинского технического университета, руководитель направления государственного управления (Грузия)
СЕРДЖИО КАМИЗ	Профессор Римского Университета «Ла Сапиенза» (Италия)
КЕТЕВАН КОКРАШВИЛИ	профессор Грузинского технического университета, глава администрации университета (Грузия)
ОТАР КОЧОРАДЗЕ	Заместитель главного редактора,

РУСУДАН КУТАТЕЛАДЗЕ	профессор Грузинского технического университета (Грузия) Профессор Грузинского технического университета, декан факультета Бизнес-инжинеринга (Грузия)
РИЧАРД МААС	Профессор университета Нотрдам (Нидерланды)
РОИН МЕТРЕВЕЛИ	Академик АН Грузии (Грузия)
ИОШИКА МИЦУИ	Профессор национального университета Йогогамы (Япония)
БАДРИ НАКАШИДЗЕ	Профессор МГУ им. М.Ломоносова (РФ)
РАМОН ПЬЕТРО-СУАРЕС	Эксперт Совета Европы (Испания)
БУДИ НУРАНИ РУЧДЖАНА	Профессор университета Паджаджаран (Индонезия)
ГЕРТ СУРМИЮЛЕН	Доктор, президент логистической компании (Германия)
МАЙА ЧХЕИДЗЕ	Профессор Грузинского технического университета (Грузия)
ЛИЗАВЕТА ЖАХАНИНА	Профессор государственного университета Канзас (США)
ЭНДРЮ ЛЕНУКС ХАРДИНГС	Профессор кингсколледжа (Великобритания)
ГЕННАДИЙ ЯШВИЛИ	Профессор Грузинского технического университета, руководитель Международного Германоязычного института экономики и права (Грузия)